ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2024 წელი, 5 აგვისტო, №6-7 (6580)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 80 თეთრი

მთავრობა 2030 წლისთვის სიღარიბის ნულთან დაახლოებას გეგმავს – რამდენად რეალურია ეს ინიციატივა

საქართველოში სიღარიბის დონე წლიდან-წლამდე მცირდება. დადებითი ტენდენციის მიუხედავად სიღარიბის დაძლევა კვლავაც რჩება ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად, ამიტომ მთავრობა, 2023 წლისთვის, პრობლემის თითქმის ბოლომდე დაძლევას გეგმავს. საინტერესოა, რამდენად რეალურია 6 წელიწადში 12%-მდე სიღარიბის ნულთან დაახლოება.

2012 წლიდან დღემდე სიღარიბის დონემ 18. 2%-ით იკლო. უფრო დეტალურად კი, ამჟამინდელი ხელისუფლების სათავეში მოსვლის დროს, 2012 წელს,

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

ყვარლის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების ძალისხმევით სპორტის ყველა სახეობა აღმავლობის ფაზაშია და წარმატებებიც სახეზეა

საქართველოს ხელისუფლების მიერ სპორტის განვითარებისთვის განხორციელებულმა ქმედითმა ღონისძიებებმა უდავოდ ხელი შეუწყო სპორტის სხვადასხვა სახეობებში მაღალი შედეგების მიღწევას. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების წარმატებული გამოსვლა ევროპის ჩემპიონატზე, მძლეოსნობაში, რაგბიში და კალათბურთში მიღწეული მაღალი მაჩვენებლები.

მსოფლიოს ასპარეზზე ქართველი სპორტსმენების წარმატებული გამოსვლები არ იქნებოდა გარანტირებული, განსაკუთრებული ყურადღება რომ არ ექცეოდეს მუნიციპალიტეტებში სპორტულ-გამაჯანსაღებელ, აღმზრდელობით საქმიანობას. საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს მუნიციპალიტეტებში სპორტსმენთა დაოსტატებისა და ქვეყნის სანაკრებო გუნდებისათვის რეზერვის მომზადებისთვის.

ყვარლის მუნიციპალიტეტშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპორტის განვითარებას და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია სასპორტო სკოლაში მიმდინარე სააღმზრდელო საქმიანობას, ქვეყნის მასშტაბით გამართულ ტურებში ჩვენი ნაკრების მონაწილეობას სოლიდური დაფინანსებით უზრუნველყოფს. შედეგი კი ნათელია, ყვარელი სპორტსმენები ქვეყნის მასშტაბით გამართულ ტურნირებში საუკეთესო შედეგებს აღწევენ.

ორი წელიც არ არის, რაც ახალგაზრდებმა კონტაქტურ კარატეში

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

სოფელ შილდაში საუბნო გზის კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულდა

სოფელ შილდაში დასრულდა შიდა საუბნო გზის კეთილმოწყობის სამუშაოები.

დასრულებული სამუშაოების ხარისხის შემოწმების მიზნით, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა გივი ზაუტაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ილია მზექალაშვილმა მოადგილეებთან ერთად ადგილზე მოინახულეს.

პროექტის თანახმად დაგეგმილი იყო 860 გრძივი მეტრი ასფალტის საფარის დაგება და სანიაღვრე არხების მოწყობა.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამ 662 363 ლარი შეადგინა.

„მე და შენ ერთად, მხოლოდ ერთად ვივლით ბოლომდე“

ქალბატონი, ყვარლის რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ შილდაში დაიბადა, აქვე დაამთავრა პირველი საშუალო სკოლაც. შემდგომში თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა და სპეციალობით მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციაში. ერთ ხანს გაზეთ „ყვარლის“ რედაქციაშიც თანამშრომლობდა, აქვეყნებდა წერილებს სახვადასხვა საკითხებზე. მისი ლექსები იბეჭდებოდა გაზეთ „ყვარელში“. ოჯახის კარგი დიასახლისი მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებდა პატარებს. წლების შემდეგ, როდესაც პატარები წამოიზარდნენ და დაოჯახდნენ, გარკვეული მიზეზების გამო ემიგრანტობა გადაწყვიტა. ცოტა ხნით წასულს ოჯახზე, თავის სამშობლოზე და მშობლიურ კუთხეზე ფიქრი არ ასვენებდა. ეს ქალბატონი, პოეტი დალი ბურდიაშვილია. თავისი ლექსების კრებულში „სამყარო ჩემი სულისა“ სამშობლოზე მომძლავრებულ ნოსტალგიას ერთ-ერთ თავის ლექსში ასე გამოხატავს, – „წუხელის ღამე სიზმარში, ჩემი სამშობლო ვნახე, მუხლდაჩოქილი ტიროდა, ღვარად სდიოდა სევდა, გზას

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

თოჯინების თეატრმა კი არ დამაბერა, – გამაახალგაზრდავა

ისტორიული წყაროებით თოჯინა „წარმოდგენის“ უძველესი ფორმაა. ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ისინი თეატრის მსახიობებზე ადრე იყვნენ. არსებობს ასევე მტკიცებულება, რომ თოჯინები გამოიყენებოდა ეგვიპტეში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წელს. ეგვიპტურ სამარხებში ნაპოვნია მავთულით კონტროლირებადი თიხისა და სპილოს ძვლისგან დამზადებული თოჯინები. მარიონეტების თოჯინა გამოიყენებოდა რიტუალების და ცერემონიების საჩვენებლად ამ სიმებიანი ფიგურების გამოყენებით ძველ დროში და დღემდეც გამოიყენება. თოჯინა გამოიყენებოდა ასევე ძველ საბერძნეთში, რომელიც თარიღდება მეხუთე საუკუნით.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ბავშვების გათვითცნობიერების მიზნით წარსულში დედები და ბებიები თავინთი ხელით კერავდნენ პატარა თოჯინებს და აი ასეთ გარემოში ზრდიდნენ პატარებს.

ყვარლის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არსებული თოჯინების თეატრი პატარებისთვის ერთ-ერთი მიმზიდველი თეატრია სხვადასხვა სახის წარმოდგენების მხრივ. მის შემოქმედებით კოლექტივს არაერთხელ გაუხარებია პატარების გული – „რწყილი და ჭიანჭველა“, „წითელქუდა“, „ნაცარქექია“, „წუნა და წრუწუნა“, „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, „კონკია“, „სამი გოჭი“, – ეს იმ მულტფილმების ჩამონათვალია, რომლებზეც თაობები გაიზარდნენ და რომლებმაც შემდგომში სცენაზე გადაინაცვლა. თუ რა მდგომარეობაა დღეს ამ თეატრში და საზაფხულო არდადეგებიდან გამომდინარე, როგორ ემზადებიან ბავშვებთან შესახვედრად, საუბარი ვთხოვეთ თოჯინების თეატრის ხელ-

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

მთავრობა 2030 წლისთვის სიღარიბის ნულთან დაახლოებას გეგმავს – რამდენად რეალურია ეს ინიციატივა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

საქართველოში 30%-იანი სიღარიბის მაჩვენებელი ასრებობდა. 2013 წელს – 26. 2%, 2014 წელს – 23. 5%. 2015 წელს – 21. 6%, 2016 წელს – 22%, 2017 წელს – 21. 9%, 2018 წელს – 20. 1%, 2019 წელს – 19. 5%, 2020 წელს – 21. 3%, 2021 წელს – 17. 5%, 2022 წელს – 15. 6%, ხოლო 2023 წელს – 11. 8%.

მთავრობაში ითქვა, რომ სიღარიბის კლება შემდგომ წლებშიც გაგრძელდება და, როგორც პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ, განაცხადა, თუ დადებითი ტენდენცია შენარჩუნდება, 2030 წლისთვის სიღარიბე თუ არა სრულად, თითქმის განულდება.

„2012 წელს სიღარიბე იყო 30%, ეს ნიშნავდა, რომ მილიონ ასი ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა სიღარიბის ზღვარს მიღმა და შარშანდელი მონაცემებით, ეს მაჩვენებელი ჩამოვიდა 435 ათას ადამიანამდე. ეს ნიშნავს იმას, რომ თითქმის 700 ათასმა ჩვენმა თანამოქალაქემ თავი დააღწია სიღარიბეს. ეს ყველაფერი არის ფაქტი. ბიუჯეტში საიდან შემოდის რამდენჯერმე მეტი თანხა, ვიდრე შემოდიოდა 2012 წელს, შემოდის ეკონომიკური ზრდის წყალობით. წელს ველოდებით მაღალ ეკონომიკურ ზრდას, რაც გამოიწვევს ბიუჯეტის ზრდას, მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და ა. შ. ეს არის ყოველწლიური პროცესი. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია ევროპულ სტანდარტებამდე, სიღარიბის განულებამდე, მაგრამ თუ ასე გავყვებით პროცესებს, ჩვენ 2030 წლისთვის არსებითად გვექნება შედეგად გარდატეხა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისით და სიღარიბე თუ არა სრულად, თითქმის განულდება, თუ ჩვენ ამ ტემპით გავაგრძელებთ ზრდას და კიდევ უფრო მეტად შევუწყობთ ხელს ეკონომიკურ განვითარებას. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ეროვნული ამოცანა და ამ პირობებში ყველაფერი კარგი ტემპით ვითარდება, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მთელი აქცენტი შიდა თუ გარე კეთილმოსურნეებისა იყოს გადატანილი ამ საკითხებზე, ხედავთ, რამხელა წნეხის და ზეწოლის ქვეშ არის საქართველო“, – განაცხადა საქართველოს მთავრობის მეთაურმა.

ერთი შეხედვით, მთავრობის ამოცანა მართლაც კარგად გამოიყურება, მაგრამ საინტერესოა რეალობაში რამდენად მოხდება მისი შესრულება და 6 წელიწადში 11. 8%-იანი სიღარიბის თითქმის განულება.

როგორც ეკონომისტები მიიჩნევენ, 2030 წლისთვის სიღარიბის ნულთან დაახლოება რთულ ამოცანას არ წარმოადგენს და ასეთ შედეგზე გასვლა შესაძლებელია. ასეთი პოზიცია აქვს სტატისტიკოს გივი მომცელიძეს, რომლის თქმითაც, სიღარიბის განულება ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ საკმაოდ შემცირების პერსპექტივა და რესურსი ნამდვილად არსებობს.

„გასაკვირი ნამდვილად არ იქნება, თუ 2030 წლისთვის სიღარიბის მაჩვენებელი თითქმის განულდება, რადგან ეკონომიკა იზრდება და შესაბამისად, სიღარიბის დონე დაიწევს. სხვადასხვა მიზეზების გამო, განულება ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ საკმაოდ შემცირების პერსპექტივა და რესურსი ნამდვილად არსებობს, საქსტატის მაჩვენებელში სიღარიბის მაჩვენებელი 2030 წელს ბევრად ნაკლები იქნება.

ფანტასტიკის სფეროს ნამდვილად არ წარმოადგენს და არ აქვს მნიშვნელობა, ეს განცხადება ვინ გააკეთა, პრემიერმა თუ სხვა ვინმე. ახალი ხელისუფლება რომ მოვიდეს ან იგივე დარჩეს, ამ განცხადებაში სავსებით დავეთანხმები ყველას.

სხვა საკითხია, მოსახლეობა როგორ გრძნობს და რამდენად აისახება მათზე სიღარიბის დაძლევა. ჩემი აზრით, არ გვაქვს კატასტროფული სიტუაცია და წლიდან-წლამდე უმჯობესდება მდგომარეობა, უბრალოდ, არ მგონია, რომ ეს ყველაფერი ისე კარგად აისახა მოსახლეობის ყველა ფენაზე, როგორც საჭიროა და ეს არის მთავარი პრობლემა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რეკორდულ მაჩვენებელზეა სოციალურად დაუცველთა რაოდენობა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბოლომდე კარგად არ გვაქვს საქმე. ასე, რომ საშუალო შეფასებას გავაკეთებ, რა თქმა უნდა, პროგრესი არის, მაგრამ მოსახლეობა ამას კარგად ვერ გრძნობს. და რომ იგრძონს, ამისთვის აუცილებელია სხვაგვარი ხედვა, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება ისე არ აკეთებს, როგორც საჭიროა“, – განუცხადა „რეზონანსს“ გივი მომცელიძემ.

ეკონომიკური განვითარება, რაც უმუშევრობის ამცირებს, რომ არ შეფერხდება ამაზე არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაცია საუბრობს და ცნობისთვის, მათ მიმდინარე წლის მშპ-ს პროგნოზი ზრდის მიმართულებით განაახლეს.

ტენდენციის შენარჩუნებას და უმუშევრობას შემცირებას ელის ეკონომისტი და სტატისტიკოსი სოსო არჩვაძეც, მაგრამ, მისი თქმით, 2030 წლისთვის გაჩნდება სხვადასხვა სახის ახალი მოთხოვნილება, რომელიც გამოწვევას შექმნის და მეტი ძალისხმება დაგვჭირდება.

„ეკონომიკური მდგომარეობა, სიღარიბე და კეთილდღეობა დამოკიდებულია ეკონომიკური განვითარების დონეზე. ქვეყანა რაც უფრო განვითარებულია და რაც უფრო მაღალი ზრდის ტემპი აქვს, მით უფრო სწრაფად იზრდება მოსახლეობის კეთილდღეობაც და აბსოლუტური სიღარიბეც კლებულობს.

სიღარიბე, ეკონომიკური მდგომარეობის გარდა, არის აგრეთვე ისტორიული და გარკვეულწილად სუბიექტური კატეგორიაც. მხედველობაში მაქვს ის, რომ სიღარიბის მიმართ ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება. ერთია – წმინდა ეკონომიკური. სიტყვაზე მოხმარების მასშტაბის და მოცულობის მიხედვით. მეორე – ჩვენი სუბიექტური აღქმა, რაც ნიშნავს იმას, რომ ზოგისთვის, პირობითად, 500 ლარი შეიძლება ცოტას წარმოადგენდეს და ზოგისთვის ბევრს. ამიტომ, ჩვენი სუბიექტური აღქმა დიდი გავლენას ახდენს ვის მივაკუთვნებთ ჩვენს თვას – ღარიბთა, შეძლებულთა თუ მდიდართა კატეგორიას. არსებობს მესამე სოციალური კრიტერიუმი, რაც ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების მოხმარების საერთო კულტურასთან მიმართებაში როგორია ჩვენი ფაქტობრივი მოხმარება. ზოგისთვის ეს შეიძლება იყოს მინიმუალური სამომხმარებლო დოვლათი.

ჩვენი პრემიერის განცხადებას შემდეგნაირად უნდა შევხედოთ, ის ფაქტობრივი მოხმარების მაჩვენებელი, რაც სიღარიბის დონეს განსაზღვრავს, ამჟამინდელი სტანდარტებით, ღირებულებითი ფორმით იქნება თუ ნატურალური შემადგენლობით კალათისა, დაძლეული იქნება მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ 2030 წლისთვის, მაგრამ გაჩნდება ახალი მოთხოვნილებები. მაგალითად, 30 წლის წინ მოსახლეობას წარმოდგენა არ ჰქონდა რა იყო მობილური ტელეფონი, კავშირგაბმულობა და ასეთი სახის ურთიერთობები. ახლა კი ეს ყველაფერი ჩვენი ცხოვრების წესის ორგანული ნაწილია. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ 2030 წლისთვის ისეთი ახალი მოთხოვნილება და მომსახურება გაჩნდეს, რომელთა მოხმარების გარეშე თავს შეზღუდულად და დაჩაგრულადაც კი ვიგრძნობთ.

იმის გათვალისწინებით, რომ საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი გვაქვს, ევროპასთან ჩამორჩენას ყოველწლიურად ვამცირებთ, დაახლოებით 1. 5 და უფრო მეტი პროცენტული პუნქტით, საკმაოდ სოლიდური წინსვლა გვექნება, აღნიშნული ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში 2030 წლისთვის, მაგრამ დავტოვოთ იმის შესაძლებლობა და ალბათობა, რომ იმ დროისთვის გაჩნდება სხვადასხვა სახის ახალი მოთხოვნილება, რომელიც გამოწვევას შექმნის და დაგვჭირდება კიდევ მეტი ძალისხმება, რომ იმ ახალი მოთხოვნილების ადეკვატური შემოსავალი და მოხმარება ვუზრუნველყოთ“, – განუცხადა „რეზონანსს“ სოსო არჩავაძემ.

წყარო: რეზონანსი

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ვარჯიში დაიწყეს და რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ ტურნირებში მრავალგზის გვასახელეს. ახლახანს ჩატარებულ ტურნირში კი შთამბეჭდავი შედეგი აჩვენეს. ამიტომაც ვთხოვეთ კონტაქტური კარატეს მწვრთნელს, ყვარლის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსს, მალხაზ ხიზანიშვილს ინტერვიუს ჩასაწერად დრო გამოენახა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების ძალისხმევით სპორტის ყველა სახეობა აღმავლობის ფაზაშია და წარმატებებიც სახეზეა

– მოსწონთ თუ არა მოსწავლეებს კარატე, საიდან მოდის კარატე და ვინ არის თქვენი სტილის – კიოკუშინკაის დამაარსებელი?

– შეუძლებელია კარატეზე იარო და არ მოგწონდეს სპორტის ეს სახეობა, კარატე უფრო მეტია, ვიდრე სპორტი,– ეს არის საბრძოლო ხელოვნება. შინკიოკუშინკაი მოიცავს როგორც სპორტულ კარატეს, რომელიც შეჯიბრებებზე გამოიყენება და რომელიც რა თქმა უნდა, საბრძოლო ილეთებს გულისხმობს, მაგრამ გარკვეული აკრძალვებით და წესების დაცვით. მიუხედავად გარკვეული აკრძალვებისა და დაცვითი საშუალებების გამოყენებისა, ორთაბრძოლები მთლიანი კონტაქტით იმართება. ასევე მოიცავს საბრძოლო კარატეს, რომელიც კარატისტმა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობით, ან აუცილებელი მოგერიების შემთხვევაში შეიძლება გამოიყენოს, რაც ნებისმიერი თავდამსხმელისთვის ფატალურად შეიძლება დამთავრდეს. ამიტომ ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პიროვნების სულიერ მხარეს. ადამიანური ღირებულებების გარეშე კარატე ისეთი საშიში შეიძლება იყოს, როგორც ბავშვის ხელში ხმალი. ამიტომ შაულინის სკოლიდან მოყოლებული და ოკინავას უძველესი სკოლით გაგრძელებული საბრძოლო ხელოვნება სულიერების გარეშე არასოდეს ისწავლებოდა. ყველა დროის ყველაზე დიდი სამურაი მიამოტო მესაშიც ვერ ეზიარა სრულყოფილად საბრძოლო ხელოვნებას, ვიდრე რთული სულიერი გზა არ გაიარა. მიუხედავად იმისა, რომ სუნშაი – ჩრდილოეთ ჩინეთი აღმოსავლური ორთაბრძოლების სამშობლოა – იაპონიაში წარმატებით გავრცელდა და წარმოუდგენელ სიმაღლეებს მიაღწია.

იაპონელი ოსტატები არასოდეს მალავდნენ, რომ იაპონურ კულტურას ფესვები დიდ ჩინურ ტრადიციებში აქვს.

გამონაკლისი არც საბრძოლო ხელოვნება იყო. მე-12 საუკუნიდან დაიწყო ჩინური კულტურის ექსპანსია იაპონიაში, რაც შემდგომ იაპონიის კულტურულ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე აისახა.

სოკონ მაცუმურას – (ბუსი – მებრძოლი) მისმა მასწავლებელმა დოტე საკუგავამ შეარქვა კუნძულ საკუგავას დასაკავებლად გამოჩენილი მამაცობისათვის. მაცუმურა ითვლება ოკინავური კარატეს ერთ-ერთ პატრიარქად (1809-1901) ის სამი ოკინაველი მეფის დამცველი იყო. ტრადიციულად ოკინავას ოსტატების სტაჟირების ადგილად ფუძიანს – სამხრეთ ჩინეთს მიიჩნევენ, მაგრამ სოკონ მაცუმურამ ჩრდილოეთ ჩინეთში გაიარა სტაჟირება და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავის სტილს დაარქვა „ჩინური ხელოვნების სკოლა, ახალგაზრდა ტყის ხელები სამშობლოს დასაცავად“. შაულინი ჩინური სიტყვაა და ახალგაზრდა ტყეს ნიშნავს, რომელიც პეკინთან ახლოს ჩრდილოეთში მდებარეობს.

საბრძოლო ხელოვნების რენესანსი კი იაპონიაში მე-17, მე-18 საუკუნე იყო, კერძოდ კარატეს აღორძინების ხანა კი – მე-19-მე-20 საუკუნე. ჩინეთიდან ტრანსფორმირებულ საბრძოლო ხელოვნებას კარატე ეწოდა, რომელიც კუნძულ ოკინავაზე დაიბადა. კარატე – შიშველ ხელს ნიშნავს, განიარაღებული და ექსპლოატირებული ოკინაველი ხალხი, რომლებიც წარმოუდგენელ ჩაგვრას განიცდიდნენ, იძულებულნი გახდნენ შეესწავლათ საბრძოლო ხელოვნება, რათა შეძლებოდათ ბრძოლა თავისუფლებისათვის. მათი პირველი საზრუნავი იყო თუ როგორ ექციათ შიშველი ხელი იარაღად და აქედან დაიბადა კარატე.

ტოდე საკუგავა (ჯადოსნური ხელი), მაკაბე (სიამო – მებრძოლი მამალი), მაცუმურა სოკონა (ბუსი), აზატა ანკო, მაცუმოტო, არაკაკი, გინოვანა, გიჩინა ფუნაკოში, გოგენ იამაგუჩი – მეტს აღარ ჩამოვთვლი, მათი ერთი დარტყმა საკმარისი იყო არა მარტო ადამიანის, არამედ ყველაზე საშიში აზიური ვეფხვის მოსაკლავად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონია იყო დემორალიზებული, კარატემ დაკარგა თავისი პირვანდელი სახე. საბრძოლო კარატე შთანთქა სპორტულმა კარატემ. კარატემ დაკარგა თავისი შინაარსი და აშკარა გახდა ძალისმიერი სპორტის სხვა სახეობების უპირატესობა მასზე. ამ დროს გამოდის ასპარეზზე კორეული წარმოშობის (იონგ ჩოი) იაპონელი მასუ ტასუ ოიამა, ის თავად კორეაში ტაეკვანდოს ტრადიციების დიდ ოჯახს ეკუთვნოდა და ოსტატის ხარისხიც ჰქონდა ტაეკვანდოში. მან გულმოდგინედ დაიწყო საბრძოლო ხელოვნების სხვადასხვა სახეობების შესწავლა, ვარჯიშობდა შოტოკანის დამაარსებელ ოსტატთან ფუნაკოშისთან, გოგენ იამაგუჩისთან, ოსტატ ნაკამურასთან, რომლის დარტყმებსაც ვერ აფიქსირებდა მაშინდელი ვიდეოკამერა. ღრმად გაეცნო ჩინურ და იაპონურ ლიტერატურას საბრძოლო ხელოვნების შესახებ, გაეცნო აიკიდოს დამაარსებლის მორიხეი უეშიბას მოსწავლის ლეგენდარული გოძიო სიოდას სწავლებას სულიერი განვითარების შესახებ. ვარჯიშობდა ძიუდოს ღმერთად წოდებულ მასაჰიკო კიმურასთან ერთად და აღფრთოვანებული იყო მისი შრომისმოყვარეობით. ბევრი რომ არ გამიგრძელდეს, შეიძინა უამრავი გამოცდილება, შემდეგ განმარტოვდა კიოსუმის მთაზე, რომელიც ტიბას პრეფექტურაში, ქალაქ კამოგავასთან მდებარეობს. ეს მთა იაპონიაში წმინდა ადგილად ითვლება, იმიტომ, რომ აქ დაიბადა კიოკუშინკაი კარატე და ამ მთაზე დგას მას. ოიამას მემორიალური დაფა. ამ მთაზე ორი წელი ვარჯიშობდა უფრო მეტს, ვიდრე ეძინა. მან შექმნა უნიკალური სტილი კიოკუშინკაი, რაც უზენაეს ჭეშმარიტებას ნიშნავს. დღეს ამ სტილს სუპერ-კარატესაც უწოდებენ. კიოკუშინკაი შეიცავს სხვადასხვა სტილების კონგლომერატს, რაც საუკეთესოდ მიაჩნდა მას. ოიამას ამ ერთ სტილში გააერთიანა. ჩამოვიდა მთიდან და მონაწილეობა მიიღო იაპონიის ღია პირველობაზე კარატეში, რომელიც გაიმართა ტოკიოში, თუ არ ვცდები, 1954 წელს და გახდა იაპონიის აბსოლუტური ჩემპიონი.

სოსაი ოიამამ დაუბრუნა ღირსება კარატეს, გამოიწვია ის სპორტსმენები, ვინც კარატეს უღირსად მოიხსენიებდნენ და ყველა დაამარცხა, უმეტესობა ერთი დარტყმით და ყველაზე მეტი კი 20 წამის დროის პერიოდში. სამ დღეში ჩაატარა 300 ბრძოლა და ყველა წარმატებით. ის არის გინესის წიგნში შესული, როგორც ყველაზე მძიმე საგნების მტვრეველი (რასაც იაპონელები ტამეშივარს უწოდებენ). მაშინდელი იაპონური პრესა აჭრელებული იყო ოიამას სურათებით, როდესაც ის ხარს შეებრძოლა და დაამარცხა, მასზე დაიწერა არაერთი წიგნი და გადაღებულია არაერთი დოკუმენტური და მხატვრული ფილმები. მხოლოდ „მარტოობისთვის განწირული“ რად ღირს, სადაც მას. ოიმას როლს იაპონური კინოს ვარსკვლავი მაედა სადახო, იგივე სონი-ჩიბა ასრულებს.

გაგრძელება მე-11 გვ.-ზე

„მე და შენ ერთად, მხოლოდ ერთად ვივლით ბოლომდე“

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

გაჰყურებდა, გვეძახდა, ვითარც მშობელი დედა“.

კრებულის შემდგენელი და რედაქტორ – გამომცემელი, გამომცემლობა პოეზიის დამფუძნებელი, საქართველოს პოეტების საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარე იმერეთის რეგიონში, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილური აკადემიის წევრი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ბატონი გერმანე საზანოელი ასე ახასიათებს მას: საინტერესო და ნიჭიერ ქალბატონს დალი ბურდიაშვილს ლექსების კრებულში ძალიან ლამაზად და ღრმა გრძნობებით, ცოტა სევდითა და დიდი სიყვარულით აქვს გადმოცემული თავისი ნააზრევი. მინდა წარმატებები ვუსურვო ქალბატონ დალის და მინდა მისი გულიდან ამომღერებული თითოეული სიტყვა დარჩეს ძალიან დიდხანს მკითხველთა გულებში“.

ჩვენი გაზეთის ყოფილ თანამშრომელს თავისი ლექსების კრებულის შესახებ რამოდენიმე კითხვით გავესაუბრეთ, წარმატებები და შემოქმედებითი წინსვლა ვუსურვეთ როგორც პოეზიაში, ისე პირად ცხოვრებაში.

– როგორც ვიცით, პოეზია პატარობიდანვე გიყვარდა. როგორ შეიყვარე პოეზია და რა სათაურით იყო შენი პირველი ლექსი თუ გახსოვს?

– დიახ, ლექსის წერა ბავშვობიდან მიტაცებდა, ამიტომ ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში რამოდენიმე ლექსი გავაგზავნე გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში. ერთ-ერთი ლექსის სათაური გახლდათ „8 მარტი“.

– პირველ რიგში გკითხავ, როგორი იყო შენთვის ემიგრანტული ცხოვრება. როგორც ამბობენ, უცხო ქვეყანაში როცა მიდიხარ, თუ ენა არ იცი, ჭირს იქ გაძლებაო. ასეა? შენს შემთხვევაში როგორ იყო?

– რა თქმა უნდა, რეალურად ასეა. უცხო ქვეყანაში წასვლა და დიდი ხნით იმასთან შეგუება, რომ ვეღარ იხილავ გარკვეული დროით შენს სამშობლოს, ოჯახს, შენს მეგობრებს, ახლობლებს – ძალიან რთულია. ამ სირთულეს ისიც ერთვის, რომ უცხო სამყაროში გიწევს ცხოვრება. უცხო ენას სწავლობ.

– ერთ ლექსში ამბობ, „იცით რა მინდა?“ მინდა გწამდეთ იმ მეგობრობის, მე რომ გაჩუქეთ, იცით რა მინდა? რომ შევიცნო თქვენი დარდი, საწუხარი, თქვენი აზრები, მინდა გაგანდოთ ყველა ფიქრი, თუნდაც მძიმე საზიდარი და ნააზრევი“.

შენი აზრით, ყველა მეგობრის ნდობა შეიძლება?

– შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისიც შენი მეგობარია. მეგობრობა ორმხრივი უნდა იყოს,მე ასე მწამს.

– ეტყობა გწამს ბედისწერის „ზოგი სხივგაშლილ ხალიჩაზე დარბის, დახტუნავს, ზოგს კი დაჩაგრავს, ამ საწუთროს უხდის საზარელს, თვალებახვეულ ბედისწერას რა შეაჩერებს, ღიმილნარევი სახით ხატავს კაცის ცხოვრებას?

– მწამს, რა თქმა უნდა, კაცი და ბედისწერა განუყოფელია, უფალი ქმნის ყოველივეს, ხოლო ბედისმწერელი წერს თითოეულის ბედს.

– პროფესიით ეკონომისტი შეყვარებული ხარ პოეზიაზე, მის გარდა სხვა სიმდიდრე არ გინდა.

„ჩემთვის ლექსი ოქრო-ვერცხლის სამკერდეა, დიდი განძი და უფასო ქონება!“

– მე ბედნიერი ვარ, რომ დამებედა ლექსების წერა, გამოვთქვა ჩემი აზრი ლექსად. მოხარული ვარ, რომ მკითხველს მოსწონს ჩემი პოეზია „დიახ,– ჩემი ლექსი,

ის ჩემს სულში სახედია,
სარკე, სადაც ირეკლება გონება“.

ვეცდები კიდევ ბევრი კრებულით გავახარო ჩემი მკითხველი.

აქვე მინდა ჩემი სიხარული გაგიზიაროთ – გამომცემლობა „პოეზიელის“ მიერ დაბეჭდილმა ჩემმა კრებულმა დაიდო ბინა ისტორიული წიგნის სახლში, – საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში“. მადლობა ბატონ გერმანეს ამხელა სიხარულის მონიჭებისთვის.

– კრებულში“ სამყარო ჩემი სულისა „– 110 ლექსია შეტანილი, ალბათ შორეულ ქვეყანაში წასულ ემიგრანტს, ხშირად გეძალებოდა ფიქრი და სევდა შენს სამშობლოზე. ამდენი ლექსიც ამაზე მეტყველებს. გქონდა კი ამდენი დრო ლექსებითვის დაგეთმო, როგორ ოჯახში მოხვდი?

– კრებულში 110 ლექსია, მაგრამ ყველა ემიგრაციაში ყოფნის დროს არ დაწერილა. რა თქმა უნდა, გარკვეული რაოდენობის ლექსი იქაც დაიწერა. მაქვს კიდევ ბევრი გამოსაქვეყნებელი ლექსები. დროს რაც შეეხება, მქონდა თუ არა წერის საშუალება, მოგეხსენებათ, რომ ვინც ლექსს წერს, ყველა დამეთანხმება, ამას დიდი დრო სჭირდება, მაგრამ ერთნაირად არ იქმნება, არ ყალიბდება ლექსად. ყოფილა ასეთი შემთხვევა, რომ შუაღამეს ავმდგარვარ და ერთი სტროფი დამიწერია, ან სადილი მიკეთებია და ერთი ორი სტროფი მაშინ შექმნილა.

რაც შეეხება ოჯხს, რამდენიმე ოჯახთან და ძირითადად მარტოდ მცხოვრებ ბებიებთან მომიწია მუშაობა. ახლად ჩასულმა, ენაც რომ არ იცი, გაქვს გარკვეული სიტყვების მარაგი და ჯერ ვერც კი ალაგებ, სად, რომელი გამოიყენო, ასეთ ყოფაში მყოფს შემხვდა ბებია, რომელსაც ახალი აღარაფერი ახსოვდა, მხოლოდ წარსულით ცხოვრობდა. ვისხედით და მიყვებოდა თავის ამბებს. ასე მოსმენით სწავლობ, იხსომებ უცხო სიტყვებს.

ექვსი თვის ჩასული ვიყავი, შევედი ერთი პროფესორის ოჯახში, ამ ქალს მარია ერქვა. დედა ჰყავდა ყოფილი პედაგოგი და სამწუხაროდ, იმ პერიოდისთვის – ბრმა. ამ ქალმა მასწავლა ბევრი რამ. მიყვებოდა საინტერესო ამბებს, ზოგს ვიგებდი, ზოგსაც საშუალოდ.

შემდეგ მომიწია წასვლა სოფელში. იქაც ძალიან კარგი ოჯახი შემხვდა. მე და ბებია ცალკე ვცხოვრობდით, ბებოს გოგო ყოველ საღამოს გვსტუმრობდა და რაც საოჯახოდ გვჭირდებოდა, მოჰქონდა.

ვისხედით საღამოს, ყავას ვსვამდით და როგორც შეგვეძლო ვსაუბრობდით. მაშინ უკვე საშუალოდ ვლაპარაკობდი მათ ენაზე. გვყავდა მეზობელი ქალი, ბებიას და-ქალი. ყოველ დღე მოდიოდა და ვსაუბრობდით. ეს ქალი მე დედობილად ვაღიარე, ვერ ჩამოვთვლი იმ პატივისცემას, რაც ამ ქალისგან მივიღე. მიუხედავად იმისა, რომ მისთვის სრულიად უცხო ადამიანი ვიყავი. ბედნიერი ვარ, რომ ეს პიროვნება გავიცანი.

– დღეს საქართველომ ევროპაში შედგა ფეხი. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესობისკენ მიდის. შენი აზრით, ისევ ისეთი მასიური იქნება ემიგრანტების ნაკადი?

– მივესალმები ყოველ სიკეთეს, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქცევს ძლიერ, სუვერენულ ქვეყნად, ეს საამწუხარო დამღა, – ემიგრანტობა, რომელიც ამჟამად საქართველოს ატყვია, მჯერა, რომ აღარასოდეს განმეორდება.

– რამდენი შვილიშვილის ბებია ხართ? ამბობენ შვილიშვილი შვილზე საყვარელიაო.

– ემიგრაციაში რომ წავედი, დავტოვე ერთი შვილიშვილი, გოგონა, რომ ჩამოვედი, დამხვდნენ უკვე ოთხნი, ორი გოგონა და ორი ბიჭი. ამაზე დიდი სიხარული ბებიისთვის არაფერია. მიყვარან უზომოდ და უპირობოდ. ეს გრძნობა სიყვარულს აღემატება.

– შენი სამომავლო გეგმები პოეზიაში.

– რაც შეეხება ჩემს გეგმებს პოეზიაში, ასეთია: რა თქმა უნდა, ამ ერთ კრებულზე არ გავჩერდები, მაქვს უამრავი გამოუქვეყნებელი ლექსი, ახლებსაც ვწერ თავისთავად. ვეცდები ახლო მომავალში გამოვცე კიდევ ერთი კრებული და გავახარო ჩემი მკითხველი.

„კვლავაც ვწეროთ მეგობარო,
ვიდრე მუზა კიაფობს,
სანამ ლექსთა ოკეანეს
ჩვენი ნავიც მიაპობს“.

– გმადლობთ, ქალბატონო დალი საინტერესო საუბრისთვის.

– მადლობა თქვენ, რომ გახსოვთ ყოფილი თანამშრომელი.

ესაუბრა
დალი ტატულიშვილი

თოჯინების თეატრმა კი არ დამაბერა, – გამაახალგაზრდავა

მძღვანელს ქალბატონ ნაზი თოფალაშვილს. ქალბატონი ნაზი წარმოშობით კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოდანაა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა თბილისის ტოპოგრაფიულ სასწავლებელში. განანილებით მუშაობა მოუწია თბილისის 31-ე ქარხანაში ასოთამწყობის სპეციალობით. თბილისის საცირკო და საესტრადო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ წლებია მუშაობს ყვარლის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეტრში თოჯინების თეატრის ხელმძღვანელად.

– ქალბატონო ნაზი, თქვენი პირველი როლი თოჯინების თეატრში – რომელი გმირის შესრულება გხვდა წილად? თოჯინების სპექტაკლებიდან რომელს გამოარჩევდით, რომელი უფროა ბავშვებისთვის მიმზიდველი და საყვარელი?

– სწორე გითხრათ, პირველად ძალიან ვღელავდი, არ ვიცოდი როგორი იქნებოდა შესრულება და როგორ მოვეწონებოდი პატარებს. „მელა, მელა კუდაო, მელა მატყუარაო“ – აი ამ როლის შესრულება მომიწია ჩემი პირველი გამოსვლისას თოჯინების თეატრში. მელია ხომ მტაცებელია და ბავშვები გაფაციცებით უყურებდნენ. ჩვენი სპექტაკლებიდან, როდესაც გავდივართ რეგიონებში, ბავშვებს უფრო „სამი გოჭის“ სპექტაკლის ჩვენება მოსწონთ ხოლმე.

– თოჯინების სპექტაკლების გარდა თუ იღებთ ხოლმე მონაწილეობას ყვარლის თეატრის მიერ დადგმულ სპექტაკლებში?

– ვიტყოდი, რომ ჩვენი თეატრის მსახიობები კარგად ასრულებენ თავიანთ თავზე მორგებულ როლს, მათთან ერთად მეც მიწევს ხოლმე სპექტაკლებზე მუშაობა და გასვლა. ესენია: „სხვისი შვილები“, „ჯადო“, „ჭინჭრაქა“, „ანგელოზები ტირიან“ და სხვა.

– დიდი ხანია, რაც ყვარლის თეატრის მსახიობი ხართ. თქვენთან ერთად მრავალ მსახიობს გაუვლია სცენაზე. ვის ან როგორ გაიხსენებდით მათ?

– რატომ არის, რომ ძველ დროს მივტირით. მინდა გითხრათ, რომ ყვარლის თეატრში გავიზარდე და ისეთი ადამიანების გვერდით მომიწია მუშაობა, როგორებიც იყვნენ თეატრის რეჟისორი და მსახიობი ანზორ შერგელაშვილი, მსახიობები ომარ მათიკაშვილი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე თოჯინების სპექტაკლების გვერდით იყო და თავისი „როხროხა“ ხმით კარგად ახმოვანებდა თავის როლს, ნიკო ჟამუტაშვილი და შალვა ქაფიანიძე, ვალიკო ოთარიშვილი და სხვები. მე მათგან ბევრი რამ ვისწავლე; უფალმა ნათელში ამყოფოთ ისინი. მართლა ვნატრობ იმ დროს.

– სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის დაიწყო არდადეგები, ახლა უფრო სჭირდებათ მათ გართობა და დასვენება. თქვენი გეგმები ამის შესახებ. რის მოლოდინში უნდა იყვნენ ჩვენი პატარები?

– არდადეგები არდადეგებია, ამჟამად ჩვენც პატარებთან ერთად ვისვენებთ და მუშაობას სექტემბრიდან განვაახლებთ.

– ვინ არის ამ თეატრის წარმატებისთვის ხელის შემწყობი, ვინ დგას მუდმივად თქვენს გვერდით?

– თოჯინების თეატრში სულ ოთხი მსახიობი ვართ, ერთად ვადგენთ სცენარს და რეპეტიციებს, შემდეგ წელიწადში ორჯერ-სამჯერ, გაზაფხულზე და შემოდომაზე გავდივართ ყვარლის საბავშვო ბაღებში, რეგიონებში. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი პატარებისთვის, ყველა სპექტაკლი უფასოა და ეს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ გივი ზაუტაშვილის დამსახურებაა, რაზედაც ჩვენი თეატრი დიდ მადლობას ვუხდით ამისთვის. ასევე ყურადღება არ გვაკლია ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორს, ქალბატონ მაია ზარდიაშვილის მხრიდან, რომელიც ყოველთვის, გაჭირვების ჟამს ჩვენს გვერდითაა და მადლობას იმსახურებს ჩვენგან.

– თეატრის სამომავლო გეგმები. რას იტყვის თეატრი ახალს?

სექტემბრიდან პატარებს ვპირდებით, რომ განახლებული პროგრამით წარვსდგებით მათ წინაშე და გავახარებთ მათ გულებს. ისინი ხომ ყოველთვის მოელიან ჩვენს პატარა თოჯინებს, რომ გაიხარონ და იხალისონ. მაშ ასე, ჩემო პატარებო, გელოდებით სექტემბერში, თქვენს საყვარელ თოჯინებთან შესახვედრად.

ვაღიარებ, რომ მრავალწლიანმა მუშაობამ თოჯინების თეატრში კი არ გამტეხა, – გამაახალგაზრდავა. და კიდევ მინდა დიდი მადლობა გითხრათ რაიონულ გაზეთ „ყვარლის“ კოლექტივს ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის.

უფალი გფარავდეთ!

ესაუბრა
დალი ტატულიშვილი

რა იწვევს ღამით წყურვილს

ძნელია ზუსტად იმის თქმა, თუ რა იწვევს ღამით გადაჭარბებულ წყურვილს, მაგრამ გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი.

7 მიზეზი, თუ რატომ გწყურიათ ღამით

დეჰიდრატაცია

ზოგიერთი მედიკამენტი

ზოგიერთმა მედიკამენტმა შეიძლება გაგიძლიეროთ შარდვა. დიურეზული საშუალებები ერთ-ერთი კლასიკური მაგალითია.

პირით სუნთქვა

ძილის აპნოე

ალკოჰოლი

ალკოჰოლი შარდმდენი საშუალებაა. ამასთან, ჭარბი სასმელი ზრდის წყლის დალევის სურვილს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებით – რაც იწვევს პირის სიმშრალეს და წყურვილის შეგრძნებას.

ცხელ გარემოში ძილი

ჯანმრთელობის პრობლემები

გადაჭარბებული წყურვილი ღამით შეიძლება მიუთითებდეს ჯანმრთელობის პრობლემაზე, მაგალითად, არანამკურნალებმა დიაბეტმა შეიძლება გამოიწვიოს ღამით გადაჭარბებული წყურვილი.

სხვა პრობლემები, რომლებმაც შეიძლება ღამით წყურვული გამოიწვიოს არის:

- მაღალი წნევა;
- გულის დაავადება;
- ზედმეტად აქტიური შარდის ბუშტი;
- მენოპაუზა

ღამით გადაჭარბებული წყურვილის პრევენცია

ძილის წინ ან შუაღამისას გადაჭარბებულმა წყურვილმა შეიძლება ხელი შეუშალოს ძილს.

პრევენციისათვის:

- დალიეთ წყალი დღის განმავლობაში;
- დაიძინეთ გრილ ოთახში;
- მიღებული მედიკამენტების შესახებ შეგიძლიათ ექიმთან გაიაროთ კონსულტაცია.

მედიკამენტებთან დაკავშირებულ რაიმე ცვლილებამდე აუცილებლად მიმართეთ ექიმს;

- მოერიდეთ ალკოჰოლს

ძილის წინ წყურვილის შეგრძნება დროდადრო ნორმალურია. მაგრამ, თუ წყურვილის გრძნობა ზედმეტად განუხებთ, არის ან სხვა სიმპტომები ახლავს თან, როგორიცაა შარდის პრობლემები ან დაღლილობა, მიმართეთ ექიმს.

კვლევები აუცილებელია, რათა გამოირიცხოს ჯანმრთელობის პრობლემები და დადგინდეს გამომწვევი მიზეზი.

https://mkurnali. ge/

მეამაყება, რომ ქართველი ვარ!



1990 წლის 14 ნოემბერი, ზვიად გამსახურდია

დე, იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძვით ჩვენი წინაპრების რელიგიური და ეროვნული იდეალების აღორძინებისთვის, რამეთუ საქართველოს დიდი მისია დააკისრა განგებამ.

ქარველი ერი არნახული წამებით ვიდოდა ისტორიის ეკლიან გზაზე, იგი ზნეობისა და სამართლიანობის ქომაგი იყო მუდამჟამს, მან ხორცი გასწირა სულისთვის, მან ჭეშმარიტების მსახურება დაისახა თავის უზენაეს მიზნად, რისთვისაც მრავალგზის იგვემა და ეწამა ბარბაროსთაგან და წარმართთაგან. მაგრამ მან გამოიარა ისტორიის გოლგოთა, რათა დამდგარიყო ჟამი მისი აღდგომისა და აღზევებისა, მისი გაბრწყინებისა მსოფლიოს ხალხთა წინაშე, რათა კაცობრიობა ეზიაროს ნათელს საქრთველოსას ღვთით მომადლებულს. არ არის შორს ის დრო, როდესაც საქართველო იქცევა ზნეობრივი სიდიადის მაგალითად მსოფლიოს ხალხისათვის.

ქართველები

„თბილისი რომ არა, შესაძლოა ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგისხანები და სხვა აღმოსავლელი სულთანები და შაჰები. თბილისი იდგა როგორც ევროპის ციხესიმაგრე, საიდანაც მთელი საქრიასტიანოს მტრები სისხლისგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე“.

„რომ ვკითხულობ ქართველი ხალხის მატიანეს, თითქოს გულში ასი დანა ატრიალეს; ის შეება ათას მტარვალს, ათას ვერაგს და აბჯარი შეადგენდა იმის პერანგს; თანაც ქმნიდა ასეთ მაღალ ხელოვნებას, სთავაზობდა სულ დახვეწილ გემოვნებას“.

ჰუგო ჰეპერტი
ავსტრიელი მწერალი, პოეტი და მთარგმნელი

საქართველო წილხვედრია ღვთისმშობლის

დედამიწის ზურგზე არცერთ ერს თავის ქვეყანაში (მით უმეტეს თავისი ქვეყნის გარეთ) იმდენი ტაძარი არა აქვს, რამდენიც ქართველთ. ქართული ქრისტიანობა განსხვავებულია ყველა სხვა ერის ქრისტიანობისაგან. ქართული ქრისტიანობა მხედრული ქრისტიანობაა, წმინდა გიორგის წინამძღოლობით.

უარს ამბობს საკუთარ მამაზე, საკუთარ შვილზე... ერთი სიტყვით საკუთარ თავზე, ვინაიდან სამშობლოს გარეშე, დედაენის გარეშე, მშობლების გარეშე და მომავლის გარეშე ადამიანი არ არსებობს, როგორც ასეთი! და განა ქრისტე ამას გვიქადაგებს?

ქრისტიანობა არაა მატერიალური

საქართველომ ჩაიბარა კვართი უფლისა...

ბევრი იყო სექტა... და არის... ამ ახალი მოდის სექტებში ჩაბმა ყველას მიეტევება, ქართველის გარდა.

ქართველთათვის ის ქრისტიანობა, რომელიც გვაქვს, არის არა მარტო სჯული, არამედ მიწა–წყალი საქართველოსი.

ენაა ქართული, ოჯახი ქართული, წინაპართა საფლავებია, აკვნებია ნაშიერთა, და ის ქართველი, ვინც ეჭვს შეიტანს ჩვენს ამ მამა-პაპეულ სარწმუნოებაში, ვინ დაუპირისპირდება მას, ვინც კრიტიკულად განეწყობოდა მისადმი, იგი (თვითონ შესაძლოა არც იცის, ისე) რელიგია, როგორც ეს მიაჩნიათ, ქრისტიანობა ღრმადფილოსოფიური რელიგიაა, მისი ჩაწვდომა დიდ ინტელექტუალურ ძალისხმევას და სულიწმინდით აღვსებას საჭიროებს.

ღმერთმა გადაგვარებული დედამიწა პირველად წყლით გაწმინდა, მეორედ განწმენდს ცეცხლით! მეორედ მოსვლა იქნება მართლა სამოთხეში დაბრუნება!

ყურად იღე ღაღადისი შენივე სისხლისა! გახსოვდეს ვისი გორისა ხარ! წიხლს ნუ ჰკრავ იმ წმინდა ბარძიმს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ივსებოდა შენი სასიქადულო წინაპრების სისხლით!“

წიხლს ნუ ჰკრავ იმ წმინდა ბარძიმს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ივსებოდა შენი სასიქადულო წინაპრების სისხლით



პოეტ მუხრან მაჭავარიანის წერილი, რომელიც მან გასული საუკუნის 90-იან წლებში თავის ვაჟს კანადაში მისწერა:

„ვწუხვარ, რომ თქვენგან (უპირველეს ყოვლისა შენგან) არ იგრძნობა თანადგომა ჩემდამი“...

მუხანოს და რატის ელოდება თავიანთი არგვეთი, პატარა ლაშურა, დიდი კაკლის ხე, ჩვენი ჭა... სამშობლო არ დაივიწყო! შვილები ქართველებად დაზარდე!... დაუკვირდი საკუთარ თავს, კარგად დაუკვირდი – განა არ გრძნობ ყოველმხრივ უპირატესობას ყველა სხვა ერის წარმომადგენლებთან შედარებით?

არ შეიძლება არ იგრძნო, უკეთუ კარგად დაუკვირდები. და, როგორ გგონია, რა არის ამ გრძნობის საფუძველი? საჩხერე, ჭიათურა, ზესტაფონი? დღევანდელი უბადრუკი საქართველო?

არა, შენი ამ უპირატესობის საფუძველი შენივე სისხლია, ის სისხლი, რომელიც ჩქეფდა შენი შორეული წინაპრების ძარღვებში და ან შენში ჩქეფს, ვინ იყვნენ შენი წინაპრები?!

არ გეგონოს, შენი სისხლის ისტორია დავით აღმაშენებლით, შოთათი, ილიათი, აკაკით და ვანიჩკათი იწყებოდეს! შენ იმ ხალხის სისხლი და ხორცი ხარ, რომელიც ფლობდა მთლიან კავკასიას, მცირე აზიას, სირია-პალესტინა-ფინიკიას... ხმელთაშუა ზღვის მთელ აუზს...

ქართულმა მოდგმამ პირველმა მოიპოვა და დაამუშავა სპილენძი, რკინა, ფოლადი, ვერცხლი, ოქრო... ქართული მოდგმის წვლილია ვენახი და ღვინო... ქართველთაგან გაიცნო მსოფლიომ ცხენი და საომარი ეტლი... მსოფლიო მეცნიერების აღიარებით – არ არსებობს მეორე ენა – ქართულივით მდიდარი. არ არსებობს ანბანი – ქართული ანბანივით სრულყოფილი. არავისთვის ისე სისხლხორცეული არაა სჯული ქრისტესი, ვითარცა ქართველებისთვის.

ქრისტიანული სარწმუნოება ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ეროვნული გახადეს. ბრძოლა საქართველოსთვის – იყო ბრძოლა ქრისტიანობისთვის, – თავგანწირვა ქრისტიანობისთვის, თავგანწირვა საქართველოსთვის!

ქართველი იყო წმინდა გიორგი კაბადოკიელი, ქართველი იყო ფსევდო დიონისე არეოპელგელი (პეტრე იბერი), ბასილი კესარიელი და გრიგოლ ნოსელი...

ევროპელებო და აზიელებო, იცით ვინ არიან ქართველები?

სად ხარ კიროს? უდიდესი გამაერთიანებელი აზიისა... სად ხარ ალექსანდრე, გლობალიზაციის შემოქმედო? შენს საზღვრებში მოხდა აზიისა და ევროპის დიდი ქორწილი... სად ხართ რომალენო? პართიელნო? ბიზანტიელნო? სპარს არაბებო, მონღოლნო, აღსდექით და უთხარით მთელ მოსფლიოს, რომ ფეხები ვერ მოჭამეთ ძირში საქართველოს, ვერ შეცვალეთ ჩვენი ძლევამოსილი გენი, ვერ გაასწორეთ კავკასია და გშურდათ ჩვენი გამორჩეულობის, ნიჭიერების... სად ყრიხართ მეთქი, ამოდით საფლავებიდან და უთხარით – სკვითთა და კიმერიელთა, ნაბუშრებს სლავურ რასას, რომ ქართული გენი კვლავ იარსებებს, ხოლო მათი იდეალები, არსებობა თქვენ ბედს გაიზიარებს, აღსდექი გენიალურო ალექსანდრე, თან დაიყენე გვერდით ნაპოლეონი და შესძახეთ გერმანული ხალხების შთამომავალთ, რომ გლობალიზაცია არასდროს მოხდება, რადგან ხალხმა, რომელმაც ერთგულების ქამრები შეაჟანგა, თავიანთ ქალებს, ხალხი რომელთა წინაპრებსაც სილამაზე ცოდვად მიაჩნდა და მას ცეცხლზე წვავდა, ვერ შეიფარებს ისეთ მაღალ მშვენიერ რასას, როგორიც ქართული გენია...

კანტი ამბობდა, რომ სპარსელებმა და აღმოსავლელებმა ქართული გენით გაიკეთილშობილეს თავი... აღსდექი ღენგ თემურ და უამბე მსოფლიოს თუ რამდენჯერ შემოიჭერი საქართველოში, როგორ გეღრიჯებოდა სიფათი, როცა აქედან მიდიოდი, ხვდებოდი, რომ ომი წააგე. უამბე ყრუ მურმან მსოფლიოს დავით და კონსტანტინეზე, თუ როგორ ვერ გატეხე ნამდვილი ქართული სული... დროებითია ჩვენი ასეთი ყოფა! ჩვენ აღვდგებით და უკან გაგიკეთებთ რუსებო თქვენს შოვინიზმს, ევროპელებო თავს მოხვეულ ლიბერალიზმს, აზიელებო რელიგიურ ფანატიზმს...

მთავარია გავიაროთ ის 40 წლიანი გზა, რომელზეც მოსემ ატარა ებრაელი ერი...

მთავარია მივხვდეთ, რომ ჩვენი გამოსავალი ერთად დგომაშია, რომ საქართველო მხოლოდ ქართველებისაა და მეტი არავის, რომ ჩვენც გვაქვს ამბიცია, რომ ერთხელაც ფენიქსივით აღვდგებით ფერფლიდან და ძვირად დაუჯენთ ჩვენს ავის მსურველთ ყველაფერს!

დიდება საქართველოს!

#მეთამარაშნელივარ

თემურ ლომსაძე

ისტორიის გაკვეთილები

ამიტომ ვართ იმედით, სიკეთის მოლოდინით აღსავსენი

ფერეიდანელი ქართველი საიდმულიანი წერდა – ერთმა ეგვიპტელმა ლექტორმა მითხრა – უდიდესი ცივილიზაციის ეგვიპტე 7 საუკუნის განმავლობაში ქრისტაინული ქვეყანა იყო, მაგრამ არაბების ერთი შემოტევა დაგვჭირდა, რომ მთლიანად გავმუსულმანებულიყავით და ვინ ხართ ქართველები ასეთი, რომ 1400 წელიწადი უდიდესი ისლამური იმპერიები ყველა მხრიდან გებრძოდნენ მარტოდ-მარტო დარჩენილებს და დღემდე ქრისტიანები ხართ, თან ყველაფერი თქვენი შეინარჩუნეთო. ფაქტია, რომ რვაჯერ შემოგვესია 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში თემურ ლენგი, თითოეული შემოსევა რამდენიმე თვე გრძელდებოდა სრულმასშტაბიანი ომით, უდიდესი ბრძოლებით და აღმოსავლეთ საქართველო მიწასთან გაასწორა, მაგრამ საქართველო რელიგიურად წელში ვერ გატეხა. ამავე პერიოდში, ერთადერთი შესევა დასჭირდა ჩრდილოეთ კავკასიაზე, რომ გაეტეხა და გაემუსლიმანებინა. ეს არის ისტორიული ფაქტები და ქართველების ეს გამძლეობა სასწაულების რანგში გადის, რომელიც არანაირი მითოლოგია და გადამწმებადი ინფორმაციაა.

სოფიკო სოხაძე წერს – დევიდ ლენგმა, ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ და ქართველოლოგმა ასეთი რამ თქვა – „საქართველოს ისტორიას რომ გაეცნობი, ღმერთს იწამებ, რადგან არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამ ერს აქამდე მოეღწია, არ არსებობს“. ჩემი მხრიდან დავამატებ, თან მოაღწია ისე, რომ ეროვნული რაობის (მაიდენტიფიცირებელი) აღმნიშვნელი არცერთი მდგენელი არ დაუკარგავს და როგორც კი სული მოითქვა, იმავე საუკუნეში მსოფლიოს მისცა არაერთი მეცნიერი, ხელოვანი, დიდი სახელმწიფო მოღვაწე.

ამიტომ ვართ იმედით, სიკეთის მოლოდინით აღსავსენი.

მოამზადა
გელა გზირიშვილმა

გზა ქრისტესკენ...

150 ქვეყანა ფეხზე წამომდგარი უკრავდა ტაშს ქართულ ანბანს! „იუნესკომ“ ქართული ანბანი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა.

მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან პირველები ვართ, ვისაც ანბანის სამი ცოცხალი სახეობა გვაქვს (მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული) და ეს აღიარა მსოფლიომ ეთიოპიაში, სადაც 150-ზე მეტი ქვეყანა ფეხზე წამომდგარი ტაშს უკრავდა ნომინაციას.

კალიგრაფი
მარიამ რამაზაშვილი

უბრწყინვალეს მეკარეს ჩვენს მამარდას!

მამარდა ბიჭო! მამარდა,
ელვის სისწრაფე თანაგხვდა,
ოჰ, დაილოცოს ის დღეა,
ვინც შენ მუცლით გატარა.
ვეფხვივით ბიჭი გაგზარდა,
ამ ქვეყნის გასახარადა,
გიორგი გქვია სახელად,
მამარდაშვილი გვარადა.
გმირი ყოფილხარ, სხვა რა ვთქვა,
ჩვენს გულის გასახარადა,
გვეამაყები სულ ყველას,
ქალ, კაცს, დიდსა თუ პატარას.
საამაყო ხარ მართლაც რომ
გულს მოგვეფინე წამლადა,
ასე ვეფხვივით ძლიერი,
იშვიათი გვყავს ქვეყნადა,
შენა ყოფილხარ ვაჟკაცი,
აბჯარ-ასხმული ფარადა,
შენ რომ არ იდგე კარადა,
ჩვენ ვინ მოგვცემდა შვებასა,
ოჰ, დაილოცოს ის მამაც,
ვინც ეს გვარი განათლა,
მამარდა, ბიჭო მამარდა
მუდამ გეხაროს თქვენს ოჯახს,
თქვენ სახელ გვარიანადა.

ია ნანეიშვილი

ამგზების კრიალოსანი

იმედი – კაცოგრიობის მკურნალი

ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთზე ლაშქრობის წინ, მთელი თავისი ქონება ახლობლებსა და მეგობრებს დაურიგა. ერთ-ერთმა მეგობარმა, სტრატეგოსმა პერდიკამ ჰკითხა: „კი მაგრამ შენთვის რაღას იტოვებ, მეფეო?“ – „ჩემთვის იმედს ვიტოვებო“ – უპასუხა ალექსანდრე მაკედონელმა. „მაშინ ჩვენც, შენი თანამოლაშქრენი მაგ იმედს გავინაწილებთო“, – უთხრა პერდიკამ ალექსანდრეს და უარი თქვა თავის წილ სამეფო ძღვენზე.

პიგმალიონი

პიგმალიონი – უიმედოდ შეყვარებული ადამიანი. ბერძნული მითოლოგიით კუნძულ კვიპროსის მეფე და ამასთან ერთად მოქანდაკე.

პიგმალიონმა გამოძერწა შესანიშნავი სილამაზის ქალი, გალატეა. მას უზომოდ შეუყვარდა თავისივე ქანდაკება. მაგრამ ქანდაკებას ხომ სიყვარული არ შეეძლო?

პიგმალიონმა სთხოვა სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტეს, რომ გაეცოცხლებინა გალატეა. აფროდიტემ შეასრულა შეყვარებული პიგმალიონის თხოვნა და გააცოცხლა ქანდაკება. გახარებულმა პიგმალიონმა ცოლად შეირთო გალატეა.

დიდმა რომაელმა პოეტმა, ანტიკური პოეზიის მშვენებამ ოვიდიუსმა თავის უკვდავ პოემაში „მეტამორფოზები“ პოეტურად გადაამუშავა ეს შესანიშნავი მითი:

„... ხელოვანებით: სახე შექმნა ქალის უბადლო
და შეძრწულ იქნა სიყვარულით მისივ ქმნილების!

სახე ქალწულის ჭეშმარიტად ცოცხლობსო თითქოს,
ტანს შეარხევდა, მოწიწებით რომ არ კრთებოდეს,
თვით ხელოვნება ხელოვნებით იყო ძლეული!

პიგმალიონი მისივ ქმნილი სხეულის ცეცხლით
იწვის და უკვირს, ხელს შეახებს დასარწმუნებლად“...

პიგმალიონის სახელი ზოგადად თავის შემოქმედებაზე შეყვარებულ ადამიანსაც აღნიშნავს.

ტროფეი

ტროფეი სხვადასხვა სახის სამხედრო ნადავლია. საერთოდ კი რაიმე საგანი, რომელიმე გამარჯვებისა თუ მიღწევის აღმნიშვნელი.

ძველ საბერძნეთში ორთაბრძოლაში ერთ-ერთი თუ გაიქცეოდა და ზურგს უჩვენებდა, დამარცხებულად ითვლებოდა. ზურგის შებრუნებას ბერძნები „ტროპეს“ ეძახდნენ. მტრის დამარცხების თუ გაქცევის ადგილზე ძეგლს აღმართავდნენ და ამ ძეგლსაც ტროპეს უწოდებდნენ.

ძველი რომისა და საბერძნეთის სარდლები ასეთი ძეგლ-ტროპეებით აღნიშნავდნენ მტერზე გამარჯვებას. რომაელები ასეთ ძეგლებზე და კოლონებზე ჩამოკიდებდნენ ხოლმე მტრისთვის წართმეულ იარაღს და საჭურველს. დროთა განმავლობაში ამ ნადავლზე უფრო გადავიდა ტროპეს, იგივე ტროფეის სახელწოდება. ტროფეი ეწოდებოდა ყველაფერს, რასაც მტერს წაართმევდნენ.

მოამზადა
ოთარ დავითაშვილმა

მონა, ლამაზი ქალი

იყო დრო, როცა ქვეყანაში ფეხი ჰქონდა მოკიდებული მონათმფლობელურ წყობას. იყო სიდუხჭირე, მონებს ყიდდნენ, ერთი ქვეყნიდან მეორეში ყიდულობდნენ, ცვლიდნენ ქალს, კაცს, ბავშვს. ყველას მონური შრომით სჯიდნენ, სულს ხდიდნენ წამებით, – მშიერს-მწყურვალს, დაუძლურებულს, აბამდნენ, საპყრობილეში ყრიდნენ. ქალები, ბავშვები დაუბანელი, თმა დაუვარცხნელი, დაძონძილი ტანსაცმლით, ფეხშიშველი, ქუსლებ დახეთქილი, ქვაზე დასერილი ფეხებით, სისხლით ღებავდნენ მზისგან გამოფიტულ დაანაოჭებულ მინას. – დედა, დედიკო, მშია, დედა გულში ჩახუტებულ პატარას ამშვიდებს, – დედის სიცოცხლევ, ცოტაც მოითმინე და შეჭამ, ცრემლმორეული, აკანკალებული ხმით მთელი გული გადააყოლა დედამ სიტყვებში.

ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც შემოქმედებითი თუ ხელოვნებით აღსავსე ღვთის ნიჭით დაჯილდოებულნი, მუხლჩაუხრელი შრომით დღე და ღამეს ასწორებდნენ.

მონა ქალები, ძვირადღირებული, თავაშვებულ თავკაცებსა თუ თავადებს შორის ხელიდან ხელში გადადიოდნენ. თავაშვებული თაღლითი მონეტებით სავსე ქისას აწვდის.

აჰაა, აიღე მონეტებით სავსე ქისა, შენი ვალი აღარ მაქვს, შენგან თავისუფალი ვარ. მოჩხუბარმა თავკაცმა ქისიდან მონეტები გადათვალა და ერთი მონეტა აკლდა. ხმამაღალი ტონით აყვირდა – თაღლითო, ვის ატყუებ, ჩხუბი გინდა? სრულად გადამიხადე. მე უნაკლო საქონელი შეგაძლიე, შენ კი. მეძავი ახალგაზრდა ქალი შორი ახლოდან თაღლითისა და მოჩხუბრის ჩოჩქოლს თვალს აყოლებდა, –მიდი, დაარტყი მაგ თაღლითს, მოუხდება, ჭკუას ისწავლის. მოშორდი მეძავო, აქაურობას, შენი საქმე იცოდე. მეძავს თავის საქმედ მიაჩნია დედობა, შვილის აღზრდა, შენ გენაცვალოს დედა, თვალზე აქვს უჩინარი დედობის სიამაყის ცრემლი.

ქალი უნაკლო, ტანფეხჩამოსხმული, შავთვალწარბა, ცრემლიანი, შავგრძელ ნაწნავიანი, თეთრი, დაუბანელი სახით, ჩამოხეული კაბით, ფეხშიშველი, დამცირებული, მონად გაყიდული, ნამუსახდილი, სასოწარკვეთილი, გამოირჩეოდა გარშემო მყოფთაგან ლამაზი ქალი, მენატრება ჩემი დედა სამშობლო, სადაც დავიბადე, გავიზარდე, ფეხი ავიდგი. უჩემოდ განაწამები მშობლები ჩემს გზას გაჰყურებენ, ხმის გაგონებას ელიან, უნდათ, ნატრობენ. ძაძებში გახვეული, ატირებული ჩვილი სიძვის შვილია, იცის ღმერთმა, რომ ძალადობის მსხვერპლი ვარ, მაგრამ მე დედა ვარ, ჩვილს გულში იკრავს. მოხუცი მონა ქალი აკანკალებული ხმით ანუგეშებს, როგორც დედა შვილს, სიყვარულით იკრავს გულში, ცრემლებს ლოყებიდან სწმენდავს ატირებულ ლამაზმანს, დამშვიდდი შვილო.

მაია გოლღაშვილი

„დურუჯის ხეობა“

დღე ჩამოწვა ღამეს მსგავსად,
ატყდა ჭექა-ქუხილი,
ცაზე ღრუბელი გაშავდა,
მოდის წვიმა შხუილით.

მთელი სოფელი მოიცვა,
ატყდა დიდი ყვირილი,
აბა ჩქარა თავს ვუშველოთ,
ხალხი გარბის ჩივილით.

დაიტბორა მინდორ-ველი,
ნახევარი სოფელი,
წყლის მაგივრად ტალახი ხომ
მოგრავდა მორევი.

დიდი ქვები მოაგორა,
სოფელი ხომ მისთქვამდა,
ანგრევს იქაურობას და
არაფერი მოჩანდა.

ბარდებზე და ეკლებზე,
აკვანი ხომ მოსჩანდა,
ბავშვი იყო დამხრჩვალი და,
დედა ხმებით მოსთქვამდა.

სოფლელები გაეშურნენ,
მათთან დასახმარებლად,
წყალი და პური მიჰქონდათ,
დარდის გასაქარვებლად.

ამ სტიქიას შეეწირა,
კაზარმელი ჯარები,
ვაი, ზოგი ძლივს გადარჩა,
აგერ ჯარისკაცები.

ილია ჭავჭავაძემ ხომ
გაამაგრა დამბები,
საფრთხე აღარ ემუქრება,
მოაგვარა საქმენი.

ჭავჭავაძის მუზეუმში,
არის ერთი ამბები,
ისტორიას ჩვენ ვკითხულობთ,
მომავალი ქართველნი.

საზღვარგარეთის ერები,
ჩამოდიან კახეთში,
სტუმრად ჭავჭავაძეანთან,
მუზეუმსო ყვარელში.

მადლობელი ვარ მთავრობის
რომ ზრუნავენ ჩვენზე,
საფრთხე აღარ გვემუქრება
მომავალ თაობებს ჩვენვე.

მაია პატარძლიშვილი

1954 წელს აშშ-ს 34-ე პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი (1953-1961) უცხო ცივილიზაციის წარმომადგენელს შეხვდა. 20-21 თებერვლის ღამეს, „რაიტ პატერსონის“ ავიაბაზაზე უცხოპლანეტელების დისკისებური ხომალდი დაეშვა. მის ქვედა მხარეს, სამკუთხედის ფორმის განყოფილება გაიხსნა და პროჟექტორების სინათლეზე, ჰუმანოიდის ფიგურა გამოჩნდა. მისი თავი ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე ადამიანის თავი. სახეზე, შავი ნუშისებური თვალები ჰქონდა, არ ჰქონდა ცხვირი, ხელებზე კი, 4 თითი, მომრგვალებული წარმონაქმნებით ბოლოვდებოდა.

რაზე შეთანხმდნენ უცხოპლანეტელები და ამერიკის პრეზიდენტი 1954 წელს?

ოფიციალურად, ცნობილი არ არის რაზე შეთანხმდნენ სხვადასხვა ცივილიზაციის წარმომადგენლები. მაგრამ, არსებობს 2 ჰიპოთეზა: პირველი უფრო გავრცელებულია და მას ხშირად შეთქმულების თეორეტიკოსები ჰყვებიან. მისი მიხედვით, უცხოპლანეტელმა ამერიკის პრეზიდენტს უფლება სთხოვა, ადამიანების წაყვანაზე, მათი შესწავლის მიზნით. მოლაპარაკების თანახმად, ისინი სრულიად ჯანმრთელები უნდა დაებრუნებინათ. მათ უბრალოდ, მეხსიერებას გაუსუფთავებდნენ. სანაცვლოდ კი, ამერიკა გარკვეულ ინფორმაციას მიიღებდა მოწინავე ტექნოლოგიების შესახებ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ ლეგენდაა, რადგან ამერიკელებს, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, იმ წლებში განსაკუთრებული არაფერი შეუქმნიათ. თან, იმ წლებში „ცივი ომი“ იყო და ამ მიმართულებით, რამე მნიშვნელოვანი წინსვლა რომ ჰქონოდათ, აუცილებლად გავიგებდით.

მეორე ჰიპოთეზის მიხედვით კი, ეიზენჰაუერმა ადამიანების წაყვანის სანაცვლოდ, მთვარის შესწავლის უფლება მიიღო. ხოლო, ხელშეკრულება 15 წელს მოქმედებდა. რატომ 15? ამის დამტკიცება ძალიან მარტივია – სწორედ 1954-1969 წლებში, ყოველწლიურად, ამერიკის ტერიტორიაზე, 5000-ზე მეტ მიტოვებულ ადამიანს პოულობდნენ, წაშლილი მეხსიერებით. რაც უცხოპლანეტელების მიერ, ადამიანების გატაცების 75000-მდე მტკიცებულება არის.

რაც შეეხება მთვარის შესწავლას, ამერიკას იმ პერიოდისთვის, მთვარეზე ასტრონავტების გასაგზავნად, ტექნოლოგიები არ გააჩნდათ. არაერთი მცდელობის მიუხედავად, 15 წელის მანძილზე, მთვარეზე გაფრენა ვერ მოახერხეს და ამის შესაძლებლობა მხოლოდ 1969 წლის ივლისში მიეცათ, როდესაც ხელშეკრულების ვადა უკვე გასული იყო (პრეზიდენტის უცხოპლანეტელთან შეხვედრა თებერვალში შედგა და შესაბამისად, ხელშეკრულებაც თებერვლამდე მოქმედებდა).

„აპოლო-11“ – პირველი პილოტირებული მისია იყო მთვარეზე. მან ეკიპაჟის სამი წევრით (ნილ არმსტრონგი (მეთაური), ედვინ „ბაზ“ ოლდრინი და მაიკლ კოლინზი) დედამიწა 1969 წლის 19 ივლისს დატოვა და 20 ივლისს ასტრონავტები მთვარეზე გადავიდნენ.

რა დაინახა პირველმა ადამიანმა მთვარეზე? ამასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, მთვარეზე მყოფი ნილ არმსტრონგის და NASA წარმომადგენლის დიალოგი უნდა გავიხსენოთ, რომელიც ამერიკელმა რადიომოყვარულმა მოისმინა:

არმსტრონგი: – რა არის? ეს რა ჯანდაბაა?NASA: – რა ხდება? რამე გაფუჭდა?არმსტრონგი: – აქ დიდი ობიექტებია, სერ! უზარმაზარი! ო, ღმერთო! აქ სხვა კოსმოსური ხომალდები არის! ისინი კრატერის მეორე მხარეს არიან. მთვარეზე არიან და ჩვენ გვაკვირდებიან!შედარებით მოგვიანებით პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ამერიკელებს მთვარეზე „აგრძნობინეს“, რომ ადგილი უკვე დაკავებულია, და დედამიწელებს იქ არაფერი ესაქმებოდათ... თითქოსდა, უცხოპლანეტელების მხრიდან მტრული დამოკიდებულებაც კი იყო გამოვლენილი. ნასამ, რა თქმა უნდა, ყველაფერი უარყო, მაგრამ ასტრონავტებმა სერნანმა და შმიტმა რეალურად დაინახეს უცნაური აფეთქება მთვარეზე მყოფ მოდულზე და ეს ინფორმაცია ორბიტაზე მყოფ ასტრონავტებს გადასცეს:– დიახ, ანტენა აფეთქდა. – იყო პასუხი – ვიდრე აფეთქება მოხდებოდა, მას რაღაცამ გადაიფრინა, ის ჯერ კიდევ... ამ დროს საუბარში მეორე ასტრონავტი ჩაერთო:

– ღმერთო! ვფიქრობდი რომ საერთოდ აგვაფეთქებდა ეს რაღაც, თქვენ მარტო შეხედეთ... ეს... მარტო შეხედეთ ამ რაღაცა!მთვარის ექსპედიციის შემდეგ, ამერიკელმა კონსტრუქტორმა ვერნერ ფონ ბრაუნმა) აღნიშნა, რომ „არსებობს არამიწიერი ძალა, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა. სხვას ვერაფერს გეტყვით ამ თემაზე, უფლება არა მაქვს“. სავარაუდოდ, მთვარეზე მყოფები არც თუ ისე კარგად შეხვდნენ დედამიწელ სტუმრებს, რადგან კოსმოსური პროგრამა „აპოლონი“ სასწრაფოდ დაიხურა. ორ სხვადასხვა ცივილიზაციის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა იმდენად ცივი იყო, რომ მთვარის შესახებ როგორც ამერიკამ, ისე სსრ კავშირმა ათეულობით წლის მანძილზე დაივიწყეს, იმ მოტივით, რომ იქ არაფერი იყო საინტერესო.

რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ დიალოგებს ასტრონავტებსა და NASA-ს წარმომადგენლებს შორის, ის როგორც ნასამ, ისე ხელისუფლებამ უარყო.

https://intermedia. ge/

საოცარი ლექსი

ვერ ენდობი, დღეს ვერავის ვერ ენდობი!
ენდობი და სანანებელს გაგიხდიან.
გაგყიდიან, დაგცინებენ, დაგაქცევენ,
გვერდზე ჩუმად, უსინდისოდ
ჩაგივლიან!

მერე გიკვირს, თვალში როგორ
გიყურებენ,
უსირცხვილოდ დაბლა თავსაც არ
დახრიან...
კადრულობენ, სულ ყველაფერს
კადრულობენ...
აპატიებ?! სისულელედ ჩაგითვლიან!

უარყოფენ, სულ ყველაფერს უარყოფენ,
უტიფრები, ქედმაღლურად
ბობოქრობენ.
გღალატობენ! მილიონჯერ
გღალატობენ!
და ღალატით გულში თითქოს ამაყობენ!
არც რცხვენიათ, სამწუხაროდ არ
რცხვენიათ...
არც იმ ცრემლის, შენს თვალზე რომ
დაგდენია...
როცა ცოტაა ნდობის ღირსი ქვეყანაზე!
მოღალატე?! – სამწუხაროდ რამდენია!...

ავტორი
ია ნანეიშვილი

ვუძღვნი ჩემს ყვარლელებს!

ალაზნის გაღმა საგავაზოდან
იწყება მხარე გასახარელი,
არ მავიწყდება ბავშვობის წლები
ჩემი შილდა და ჩემი ყვარელი.

არ მავიწყდება მე კუდიგორა
ილიას გორა ყვარლის თილისმა,
ყორიანის ტყის ნაზი შრიალი
ქინძმარაულის შავი ღვინისმა.

დურუჯის ღრენა, ახლაც ჩამესმის
ნეკრესის ჭალა ფეხით მივლია,
მეგებებიან სამშობლო მთები
და მახსენდება დიდი ილია.

თენგიზ ლაბაძე

ქართველები – მსოფლიოს პირველი ერი!

თქვენს ერს, მარად აღტაცეებით შესცქერის ყველა. დარჩით, ასეთ ხალხად, რომელსაც შეუძლია ასწავლოს სხვას ცხოვრების წესი.

ტონინო გუერა,
ცნობილი იტალიელი მწერალი და პოეტი

გუნებების საოცრება – ფუტკარი!

იცოდით, რომ ერთი სუფრის კოვზი თაფლი საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანმა 24 საათის განმავლობაში შეინარჩუნოს სიცოცხლე?

იცოდით, რომ მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ მონეტაზე ფუტკრის სიმბოლო იყო გამოსახული?

იცოდით, რომ თაფლი ცოცხალ ენზიმებს შეიცავს? თაფლის ჭამის საუკეთესო გზა ხის კოვზითაა, თუ ვერ იპოვეთ, გამოიყენეთ პლასტმასის კოვზი.

იცოდით, რომ თაფლი შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ეხმარება ტვინს უკეთ ფუნქციონირებაში?

იცოდით, რომ ერთადერთია დედამიწაზე იმ რამდენიმე საკვებიდან, რომელსაც ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება დამოუკიდებლად შეუძლია?

იცოდით, რომ ფუტკრებმა აფრიკაში ხალხი შიმშილისგან გადაარჩინეს?

იცოდით, რომ ფუტკრის მიერ წარმოებული პროპოლისი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბუნებრივი ანტიბიოტიკია?

იცოდით, რომ თაფლს შენახვის ვადა არ აქვს?

იცოდით, რომ ზოგიერთი იმპერატორის ცხედარი ოქროს კუბოებში იყო დამარხული და შემდეგ თაფლით დაფარული, რათა არ გაფუჭებულიყო?

იცოდით, რომ ტერმინი „თაფლობის თვე“ მოდის ტრადიციიდან, როდესაც ახლად დაქორწინებულები ქორწინების შემდეგ თაფლს მიირთმევდნენ ნაყოფიერებისთვის?

იცოდით, რომ ფუტკარი 40 დღეზე ნაკლებს ცოცხლობს, მინიმუმ 1000 ყვავილს სტუმრობს და ჩაის კოვზზე ნაკლებ თაფლს გამოიმუშავებს, მაგრამ ფუტკრისთვის ეს მთელი ცხოვრების სამუშაოა!

შეიძლება თუ არა საკვების გაყინვა



დერმატო-ვენეროლოგი ზაზა თელია სოციალურ ქსელში აქვეყნებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს ძლებს ესა თუ ის საკვები მაცივარში გაყინული და რამდენ ხანში ფუჭდება ის. ექიმის პოსტს უცვლელად გთავაზობთ.

„ხშირი და აქტუალური კითხვა – შეიძლება თუ არა საკვების გაყინვა?

საყინულეში მჭიდროდ შეფუთულ მდგომარეობაში, ან დალუქულ კონტეინერში ბევრი საკვები პროდუქტი ვარგისიანობასა და კარგ თვისებებს ინარჩუნებს თვეების განმავლობაში. ეს დრო საკვები პროდუქტების მიხედვით განსხვავდება:

1. კარაქი – 6-დან 9 თვემდე;
2. ბანანი – 2-3 თვე;
3. კვერცხის ცილა ან გული – 1 წელი;
4. ყველი – გაუხსნელი, ქარხნულად შეფუთული ყველი – 6 თვე დაჭრილი ყველი – 3-4 თვე;
5. შეუჭმელი, დარჩენილი პიცა – 1-2 თვე;
6. ავოკადო – 8-12 თვე;
7. მცენარეული საკვები – 6 თვე;
8. პური – გამომცხვარი – 1 თვე; არაგამომცხვარი კონსერვანტების გარეშე – 3-5 თვე;
9. რძე – 3 თვე;
10. კანფეტი – 3-6 თვე;
11. ნაჭუჭიანი თხილეული – 6 თვე ან მეტი;
12. შემწვარი მორჩენილი საკვები – ხორცეული – 2-3 თვე. ქათამი, ინდაური ან თევზეული – 4-6 თვე;
13. წვნიანი ან სოუსის ტიპის მოთუშული კერძი ბოსტნეულით და ხორცით – 2-3 თვე.

ასე რომ ნუ გადაყრით საკვებ პროდუქტებს, მორჩენილ საკვებს – გახსოვდეთ რომ ბევრი ადამიანი განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში მშიერია ყოველდღიურად. შეგიძლიათ გაყინოთ პროდუქტები, შეინახოთ ან დაურიგოთ გაჭირვებულებს“, – წერს ზაზა თელია.

16 წელი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ

16 წლის წინ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ომი დაიწყო. რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საქართველომ თავდაცვის სამინისტროს 170 თანამშრომელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი და 228 მშვიდობიანი მოქალაქე დაკარგა. დაჭრილი და დაშავებული მშვიდობიანი მოქალაქეებისა და სამხედრო პირების რაოდენობამ 2 232 შეადგინა.

რუსეთისა და ცხინვალის რეგიონში მისი მარიონეტების მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად 30 000-ზე მეტი ადამიანი იძულებული გახდა საკუთარი სახლები დაეტოვებინა. მათი სახლების აბსოლუტური უმრავლესობა მოძალადეებმა დაწვეს, რათა მათი პატრონები უკან აღარასდროს დაბრუნებულიყვნენ.

ომის დაწყებამდე თვეებით ადრე, ისევე როგორც საომარი მოქმედებების დროს, რუსეთი ჰიბრიდული ომის სხვადასხვა ტაქტიკას იყენებდა, როგორიცაა საინფორმაციო ოპერაციები, ენერგეტიკა, ეკონომიკური და სავაჭრო შანტაჟი, კიბერშეტევები, ოკუპირებულ ტერიტორიების მოსახლეობის „პასპორტიზაცია“ და სხვა.

რუსეთის ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა, ასევე მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმერ პუტინმა მოგვიანებით აღიარეს, რომ რუსეთის მთავრობამ საქართველოში შეჭრა 2006 წლის ბოლოს დაგეგმა, რათა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციისთვის შეეშალა ხელი.

აგვისტოს ომიდან მალევე, რუსეთმა საქართველოს ორი რეგიონის – აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა აღიარა და ცდილობს, თუმცა წარუმატებლად, რომ სხვა სახელმწიფოების მიერ მათი „დამოუკიდებლობის“ აღიარებასაც მიაღწიოს.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს ტერიტორიის 20%-ზე მეტი კვლავ ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. რუსეთს დღემდე არ შეუსრულებია ცეცხლის შწყვეტის 6-პუნქტიანი შეთანხმება, რომელიც ევროკავშირის შუამავლობით იქნა მიღწეული. მეტიც, საოკუპაციო რეჟიმი აგრძელებს საოკუპაციო ხაზის გადმოწევას (ე. წ. ბორდერიზაციის პროცესი) საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, თემების მავთულხლართებით დაყოფას, ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის უკანონო დაკავებებსა და გატაცებებს, ასევე საოკუპაციო რეჟიმის მილიტარიზაციას.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის უფლებები ყოველდღიურად ილახება. მათ შეზღუდული აქვს ადამიანის ძირითადი უფლებები, მათ შორის გადაადგილების თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების თავისუფლება და ა. შ. საქართველო მათი უფლებების დაცვას და სახლებში უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნების უფლებას ითხოვს. დაუსჯელობით გათამამებული, 2022 წლის თებერვალში რუსეთი კიდევ ერთ მეზობელ სახელმწიფოს დაესხა თავს და უკრაინასთან ფართომასშტაბიანი ომი წამოიწყო. ამჯერადაც, ის კვლავ ჰიბრიდული და ჩვეულებრივი ომის ტაქტიკის იგივე კომბინაციას იყენებს.

2008 წლის აგვისტოს ომის ისტორია

სამხრეთ ოსეთი, როგორც ავტონომიური ოლქი, საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, ფორმალურად შეიქმნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბჭოებისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების პარალელურად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში თავი იჩინა სეპარატისტულმა მოძრაობამ, რომლის მიზანს საქართველოსგან გამოყოფა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენდა. ოლქში სეპარატისტული იდეოლოგია და ქმედებები აქტიურად იყო წახალისებული და მხარდაჭერილი რუსეთის მიერ. შედეგად, 1980-იანი წლების ბოლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დამოუკიდებლობის მოთხოვნის საპასუხოდ დაპირისპირება დაიწყო საქართველოში, თბილისსა და ცხინვალს შორის, რაც 1991-92 წლებში, შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა.

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით, 1992 წლის 24 ივნისს საქართველოსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

შეთანხმების შესაბამისად, შეიქმნა შერეული საკონტროლო კომისია (JCC), მასთან არსებული შერეული სამშვიდობო ძალები მშვიდობისა და წესრიგის დასაცავად (JFPKLO) და დამკვირვებელთა შერეული ჯგუფები (JGO) რუსული, ქართული და ოსური კონტინგენტის შემადგენლობით.

შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ნაწილზე წვდომა დაკარგა. იმავდროულად, დაიღუპა არაერთი ადამიანი, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა კი იძულებით მიატოვა საცხოვრებელი სახლები და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ განსახლდა საცხოვრებლად.

საომარი მოქმედებების შეჩერებისა და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მიზნით, საქართველოს მხრიდან არაერთი ნაბიჯი გადაიდგა.

თუმცა, პოზიტიურ ნაბიჯებს თან ახლდა პერიოდული დაძაბულობები შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე და დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან.

2008 წლის მარტი-აპრილის პერიოდში ქართულ-რუსული ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა. ამ პერიოდში რუსეთმა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე დაიწყო საუბარი, ხოლო საქართველომ, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ ოფიციალურად განაცხადა ნატო-ში საქართველოს წევრობის სურვილზე 2008 წლის აპრილში გამართულ ბუქარესტის სამიტზე.

2008 წლის ივლისში ესკალაცია გაიზარდა, რადგან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სხვადასხვა სახის ინციდენტს ჰქონდა ადგილი. კერძოდ, კონფლიქტის ზონაში განხორციელდა არაერთი შეიარაღებული თავდასხმა, რის შედეგად დაიღუპა და დაშავდა რამდენიმე ადამიანი.

დაძაბულობის ესკალაციის კულმინაცია 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტი გახდა. 2008 წლის 7-8 ივლისს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო წარმომადგენლებმა დააკავეს 4 ქართველი სამხედრო პირი, რომლებიც 8 ივლისს გაათავისუფლეს. იმავე დღეს საქართველოს საჰაერო სივრცე ოთხმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია. 2008 წლის 24-28 ივლისს ცხინვალის სამხრეთ შემოგარენში და საქართველოს მიერ კონტროლირებად სოფელ ავნევში ადგილი ჰქონდა აფეთქებებს. ამავდროულად, 2008 წლის ივლისშივე რუსულმა მხარემ ჩაატარა ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები უშუალოდ რუსეთ-საქართველოს საზღვართან. ამავე პერიოდში საქართველოშიც დაიწყო სამხედრო წვრთნები პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით.

1 აგვისტოდან კვლავ ადგილი ჰქონდა მცირემასშტაბიან დაპირისპირებებს ქართულ და ოსურ მხარეებს შორის, რაც პერიოდულად მსხვერპლით მთავრდებოდა. აგვისტოს დასაწყისში სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ დაიწყო საკუთარი მოსახლეობის ევაკუაცია რუსეთის ფედერაციაში. 4 აგვისტოს რუსეთის ბატალიონი როკის გვირაბის სიახლოვეს იქნა დისლოცირებული, ჩრდილოეთ ოსეთის მხარეს.

საბრძოლო მოქმედებები ინტენსიური 6 და 7 აგვისტოს გახდა. 2008 წლის 7 აგვისტოს ავნევის საგუშაგოსთან განლაგებულ ქართულ სამშვიდობო ძალებზე სამხრეთ ოსეთის მხრიდან განხორციელდა ინტენსიური დაბომბვა.

8 აგვისტოს ქართულმა შენაერთებმა ცხინვალი დაიკავეს, მაგრამ რუსული იერიშების შემდეგ მალევე უკან დაიხიეს. 2008 წლის 10 აგვისტოს საქართველომ ცალმხრივად განაცხადა ცეცხლის შეწყვეტის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან სამხედრო ძალების გაყვანის შესახებ.

2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის ქრონოლოგიური აღწერა ხელმისაწვდომია საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის (IIFFMCG) 2009 წლის ოფიციალურ ანგარიშში (ე. წ. ტალიავინის დასკვნა).

კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა 2008 წლის 12 აგვისტოს, საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის შუამავლობით, რომელიც ევროკავშირის სახელით მოქმედებდა, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიაღწიეს. შეთანხმების თანახმად, მხარეები უარს აცხადებდნენ ძალის გამოყენებაზე და უნდა დაბრუნებოდნენ თავიანთი დისლოკაციის ადგილებს.

2008 წლის 15 აგვისტოს რუსულმა სამხედრო ძალებმა საქართველოს ტერიტორიის დატოვება დაიწყეს, თუმცა, მათ შექმნეს 20 კილომეტრიანი ე. წ. „ბუფერული ზონა“ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ, რომელზეც კონტროლს 2008 წლის 10 ოქტომბრამდე ინარჩუნებდნენ.

რუსეთის პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა 26 აგვისტოს გამოსცა ბრძანება აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი ტალღა წარმოშვა. ომის შედეგად ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და მისი მიმდებარე სოფლებიდან 28 000-მდე პირი იძულებული გახდა, მიეტოვებინა თავისი საცხოვრებელი სახლი. კონფლიქტის შედეგად დაიღუპა ასობით სამოქალაქო თუ სამხედრო პირი, ნაწილი კი დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. იმავდროულად, არაერთი ადამიანი დაშავდა განხორციელებული საომარი მოქმედებების შედეგად. ომის დროს, ასევე, ხშირი იყო მოქალაქეთა უკანონოდ დაკავება და მათ მიმართ წამების და არასათანადო მოპყრობის განხორციელება.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთი ეფექტიან კონტროლს ახორციელებს საქართველოს სხვა რაიონებსა და სოფლებზე, მათ შორის – ახალგორის რაიონი, ზემო აფხაზეთი, გორის რაიონის რამდენიმე სოფელი, საჩხერეს რაიონის სოფელი პერევი. ამ ტერიტორიებზე რუსეთის ეფექტიანი კონტროლი დღემდე გრძელდება. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული.

2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. კანონი განსაზღვრავს რუსეთის აგრესიის შედეგად ოკუპირებული რეგიონების სტატუსს და ადგენს მათ განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს. კანონის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, აგრეთვე განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რაც გულისხმობს შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფლად გადაადგილების, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადებისა და ამ კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ყვარლის მუნიციპალიტეტიდან ოთხი ვაჟკაცი შეეწირა აგვისტოს ომს

ილია შავერდაშვილი (1989-2008), ყვარლის რაიონში, სოფელ ენისელში, 1989 წლის 1 აგვისტოს დაიბადა. ილო სულ ორი თვის გაწვეული იყო ჯარში. სიცოცხლით სავსე, ღიმილიან ბიჭს, ყველა თანატოლისგან გამორჩეულს, კეთილშობილს, ომის დაწყებამდე სულ ერთი კვირით ადრე შეუსრულდა 19 წელი. სწორედ 19 წლის იყო, როდესაც რუსმა ოკუპანტმა მოუსწრაფა სიცოცხლე და გმირულად დაეცა სამშობლოს მიწაზე.

გელა (ბარდანა) მებაღიშვილი დაიბადა ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში 1972 წლის 25 აგვისტოს. 1992-93 წლებში მონაწილეობდა აფხაზეთის ომში. 2008 წლის 8 აგვისტო მისთვის ავბედითი გამოდგა. იგი გახდა გმირი. სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, იბრძოდა საკუთარი ხალხის, ქვეყნისათვის. მან სიცოცხლის ბოლო წუთები სხვათა გადასარჩენად გაიღო... ყველა დაჭრილი ჯარისკაცი საკუთარი მხრებით გამოიყვანა ცეცხლმოკიდებული ბრძოლის ველიდან, ბოლო შესვლაზე კი იქ დარჩა... გმირულად დაიღუპა.

სერჟანტი – ზურაბ ტურაშვილი (1983 წელს დაიბადა ყვარლის რაიონის სოფელი ალმატში)ზუსტად არავინ იცის, რა ვითარებაში დაიღუპა სნაიპერი ზურა ტურაშვილი…რამდენიმე წელი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა. ოჯახის იმედი არ გადაუწურავს, რომ ცოცხალი დაბრუნდებოდა, თუმცა...

პოლკოვნიკი – დათო ელიზბარაშვილი ყვარლის რაიონი – სოფელი შილდა (... ქართული ჯარი უკან იხევს. ფხვენისი. დროის მოსაგებად ველის დანაღმვაა აუცილებელი. ველზე დასანაღმად შესულ პირველ ჯგუფს პოლკოვნიკი დათო ელიზბარაშვილი ხელმძღვანელობს. უკან გამოსულს, ახალ ჯგუფს ჩაუყენებენ სათავეში. ამჯერად ველზე მარტო შევა. დანარჩენებს დარჩენას უბრძანებს. 11 აგვისტო. ღამის 2-ის ნახევარი. მინდვრის დანაღმვისას მტერი შეამჩნევს, „მი-24“-ის ჰაერიდან შემოტევას ხელის ტყვიამფრქვევით უმკლავდება. მაგრამ წამი და იგი ველს მოეფინება… ნაწილებად.)ეს სტრიქონები დათო ელიზბარაშვილმა 17 წლის ასაკში დაწერა, რომელიც რამდენიმე წელიწადში წინასწარმეტყველურად ახდა. „მე დავეცემი ბრძოლის ველზე მკერდგახვრეტილიდა უკანასკნელ ამოოხვრას გაჰყვება სული. წითლად შევღებავ მწვანე ბალახს, ყვითელ ბაიასდა სამუდამოდ დასრულდება ცხოვრება ჩემი…გადაიქროლებს ბრძოლის ველზე წყნარი ნიავი,თმას ამიწეწავს და სახეზე მეალერსება,თითქოს მას სურს, რომ დამიბრუნოსსული ჩემი შორს გაფრენილი. მე მას ვუამბობ, რაც მაწუხებს ყველაზე ძლიერ, თუ როგორ ჩაწვნენ ბრძოლის ველზე ქართველთ შვილები... და მიმატოვებს მე ნიავი უდაბურ ველზე, უკანასკნელი მეგობარიც გზას გაუდგება, დარჩება მარტოდ ტრიალ ველზე ცხედარი ჩემი, ცხოველთ და ფრინველთ საჯიჯგნად და გამოსაკვებად“…

დიდება გმირებს!

ია გიგიაშვილი

გამოსათხოვარი

მეუღლე გენადი, შვილები ნატო, ნიკა, ვალერი წიგნაძეები, ძმა გია, მამიდები ლიანა, დალი ტატულიშვილები, მამიდაშვილები ვენერა, ნიკო, კაკო ვარდიაშვილები, დათო, მანანა ხაჩოშვილები, ბიძაშვილი ლალი ტატულიშვილი, ბიძაშვილის შვილები თეა, ინგა, თამრო აბესაძეები, ნინო, ზურო, ზაზა ტატულიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **თამარ ტატულიშვილი-წიგნაძე**

დაკრძალვა 16. VII. თელავის რაიონის სოფელ შალაურში

ვერიკო მეტრეველის ხსოვნას

ჩვენი ლამაზი ყვარელი კიდევ ერთმა ღირსეულმა, ყველასათვის საჩინო და მისაბაძმა ქალბატონმა ვერიკო მეტრეველმა დატოვა და მარადისობის გზას შეუდგა.

ჩვენო უძვირფასესო ქალბატონო, შენისთანა ენერგიული, სიყვარულით სავსე ადამიანებისთვის 65 წელი ძალიან ცოტაა. მაშინ მიგვატოვე, როცა ყველაზე მეტად გინდოდა სიცოცხლე.

შენ იყავი ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება შრომაში ატარებდი, არ ავლენდი ძლიერ, სპეტაკ სულს. არასოდეს ლაპარაკობდი არც დარდზე და არც სიხარულზე. მიმტევებელი და გამგები იყავი. მეუღლემ მალევე მიგატოვა და ცალუღელად დარჩენილს გვერდში დაგიდგნენ ოჯახის წევრები, დედამთილ-მამამთილი – აჟიკო და მაყვალა ფუღლიაშვილები, მული თავისი ოჯახით, შენი მშობლები შალიკო და ზინა მეტრეველები და შენი ძმა გივი მეტრეველი ოჯახით. თითქმის ყველა ერთ ოჯახად შეიკარით და ერთად ზრდიდით პატარა გიორგის, რომელიც სიკეთით, ნიჭიერებით და სიყვარულით სავსე ბავშვი იყო და თვითონ უვლიდა ჩანოლილ ბებიას, პაპას და წარმატებით სწავლობდა ყვარლის მეორე საჯარო კოლაში და ინსტიტუტში მეღვინეობის ფაკულტეტზე იყო პრეზიდენტის სტიპენდიანტი. მას თავის ლექტორმა გაუკვალა გზა გერმანიაში, სადაც წარმატებული მეღვინეა და ხშირად წერენ გერმანულ პრესაში. ბიჭი, რომელიც ისე გაიზარდა, მამა არ დაუძახია, დღეს საუკეთესო შვილი, მეუღლე და ორი ბიჭის მამაა, ჰყავს შესანიშნავი მეუღლე თამთა ჩხეტიანი.

ვერიკო, ცხოვრებაში ბევრი დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიიღე, სულ ნაღვლიანი დადიოდი, შრომაში ჰპოვებდი შვებას, მძიმე ავადმყოფიც კი არ წვებოდი, მხოლოდ გიორგის ოჯახის ხსენებაზე იღიმებოდი.

იცოდი მძიმე სენი გქონდა, მაგრამ იმედი გქონდა დაამარხცებდი, იბრძოდი სიცოცხლისთვის. ყველაფერი გააკეთა შენი გამოჯანმრთელებისთვის შენმა ოჯახმა, ძმის ოჯახმა, მაგრამ მაინც წახვედი შენს ძვირფას მშობლებთან. მორწმუნე ქალი იყავი, სასიკვდილო სარეცელზე მყოფიც კი ყველას ღოცავდი, სიკეთეს უსურვებდი. ზიარების შემდეგ კი უფრო გაძლიერდი.

სამყაროში ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. სიკვდილი კი გარდუვალია, ვერავინ გავა ამ სამყაროდან ცოცხალი, ასეთი ულმობელია წუთისოფლის განაჩენი.

აფთიაქშიც მუშაობდი, ყველა საქმეს კარგად აკეთებდი, მაგრამ ყველაზე უმთავრეს და რთულ პროფესიაში იყავი ძლიერი. ვერიკო, ჩვენო უძვირფასესო ადამიანო, ღამაზად შვილის აღმზრდელო დედავ, დაგვილოცე ყველა შვილის და ახლობლების ოჯახები, შენი კეთილი მეზობლები, ჩვენ კი ვილოცებთ შენი ღამაზი სულისთვის. მარად ნათელი ედგეს შენს ღამაზ სულს.

ოჯახი, ახლობლები

ცხოვრების ათი გაკვეთილი

1. არასოდეს მოუყვე ყველაფერი სხვებს, რადგან არ იცი, შენ მიერ ნათქვამს სიტყვებს, როდის დაგიბრუნებენ უკან ბოროტად.

2. ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა საიმისოდ, რომ გაჩერდე იქ, სადაც უბედური ხარ.

3. ხშირად გაიღიმე, ასე უფრო ლამაზია ცხოვრება.

4. მეგობარი ის არის, ვინც ერთგულებას ქმედებით დაგიმტკიცებს და არა მხოლოდ სიტყვებით.

5. რასაც სხვისთვის გაიმეტებ, ის აუცილებლად იპოვის შენთან დასაბრუნებელ გზას.

6. ჭორებზე ნუ გაბრაზდები, ზოგს უბრალოდ მოსაწყენი ცხოვრება აქვს.

7. თუ გაიგე, რომ გამუდმებით შენზე საუბრობენ, ესე იგი მათზე ბევრად საინტერესოდ ცხოვრობ.

8. ისწავლე იყო ბედნიერი წვრილმანებით და ნახავ როგორი ფერადი გახდება ყოველი დღე.

9. არასოდეს დაიშურო დრო პიროვნული განვითარებისთვის

10. იყავი „საკუთარი თავი“ ასე ყველაზე ლამაზი, საინტერესო და გამორჩეული ხარ.

ია კარგარეთელი

ყველა გავატარე უფალო შენს ჭეშმარიტ გზაზე



არ მიატოვოთ საქართველო, არ განარისხოთ ღვთისმშობელი. ადამიანი სადაც დაიბადება, იქ გადმოდის მასზე კურთხევა.

ბოლო ჟამს საქართველო გაბრწყინდება და ეს იქნება რელიგიური აღმავლობა და არა დოლარების ფრიალი, ზოგს რომ ჰგონია!

გიყვარდეთ ერთმანეთი, საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს. ბოლო ჟამია, უფალი მოგთხოვთ ღვთისა და მოყვასის სიყვარულს, ვინც შეინარჩუნებს, ის გადარჩება...

ბერი გაბრიელი

ცოტა რამ ქართული ხალხური ქსოვილებისა და საფეიქრო იარაღების შესახებ

ხალხური ფეიქრობა თავის საწყისს შორეულ წარსულში იღებს. ამას ნათლად მოწმობს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი საფეიქრო დანიშნულების იარაღები – კერძოდ, ნართის დასამუშავებელი კვირისტავები, თითისტარები და სხვა. კვირისტავები ძირითადად ქვის, ძვლის და თიხისა გვხვდება. აღმოჩენილია ხის კვირისტავი და თითისტარი. უძველესი კვირისტავი ნეოლითური ხნით თარიღდება (ნეოლითი – ახალი ქვის ხანა).

არქეოლოგიური მასალების მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ნეოლითური ხანის ადამიანებმა უკვე იცოდნენ რთვა (საქსოვი ნართის დამზადება) და ამდენად, საფეიქრო საქმის ჩანასახებთან უნდა გვქონდეს საქმე. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ გარდა კვირისტავებისა, ენეოლითური ხანის კერამიკულ ჭურჭელზე ქსოვილის ანაბეჭდებიც გვხვდება (ენეოლითი – ახალი ქვის ხანიდან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდი). უფრო მოგვიანო ხანის არქეოლოგიურ მასალებში კი თვითონ ქსოვილის ფრაგმენტებიც ჩნდება.

როგორც ამას ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, საქართველოში შემონახულია საქსოვი იარაღების ცალკეული ეგზემპლარები და ზოგჯერ მთელი კომპლექსიც.

ცნობილია, რომ ხალხურ ფეიქრობაში გამოყენებული იყო შედარებით მარტივი სახის ხელსაწყო-იარაღები. ეს ხელსაწყო-იარაღები შრომის პროცესთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

1) ნართის დასამუშავებელი ხელსაწყოები: მატყლის სარეცხი, საჩეჩელი, საპენტი, საპენტი ლასტი, თითისტარი, კვირისტავი, ჯარა, ჩიხრიხი, მანჯანიკი და სხვა.

2) ქსოვილის დასამზადებელი საქსოვი დაზგები: ყდა (ქსლის გასაბმელი ჩარჩო), ჭილობის საქსოვი, ხალიჩა – ფარდაგის საქსოვი, ხონჯრის საქსოვი და სხვა.

3) ქსოვილის დასამუშავებელი იარაღები: მოსათელი, გასაწევი, გასაუთოებელი, გასატკეცი, წინდისა და ნაქსოვი ფეხსაცმლის გადასაჭიმი ხის ყალიბები, შალის ქსოვილის გადასაჭიმი და სხვა.

ზემოთ დასახელებული ხელსაწყო – იარაღების საშუალებით წარმოებდა სხვადასხვა მასალისაგან (აბრეშუმი, მატყლი, ბამბა, სელი, კანაფი) მრავალნაირი სახის ქსოვილების (შალი, მერდინი, ხამი, ფარდაგი, ხალიჩა, ხურჯინი, საცალო ტომარა და სხვა) დამზადება.

საყურადღებოა, რომ ზოგჯერ მასალაც განსაზღვრავდა ხელსაწყო–იარაღის ზომასა და ფორმას. მაგალითად, აბრეშუმის სართავი თითისტარი უფრო მცირე ზომისა იყო, ვიდრე მატყლის დასამუშავებელი; ასევე, კვირისტავიც მისი შესაფერისი ზომისა უნდა ყოფილიყო.

სხვადასხვა სახის საქსოვი მასალა დამუშავების სხვადასხვა წესს მოითხოვდა. ამდენად, მათი დასამუშავებელი იარაღებიც განსხვავებული იყო. მაგალითად, მატყლის დასამუშავებლად ხმარობდნენ: მატყლის სარეცხს, საჩეჩელს, თითისტარს, კვირისტავს, ჯარას და სხვა.

აბრეშუმის ამოსახვევად გამოყენებული იყო: მანჯანიკი (მანჯანიკის მოწყობილობაში შედიოდა – სპილენძის ტაშტი, ძაფის ამოსახვევი ჯარა, ძაფის ამოსაღები კაუჭებიანი ჯოხი), თითისტარი კვირისტავით, ძაფის დასახვევი ფირფიტები და სხვა. ბამბის დასამუშავებლად გამოიყენებოდა – ჩიხრიხი, საპენტი, თითისტარი კვირისტავით, ჯარა; თივთიკის დასამუშავებლად – საპენტი, საპენტი ლასტი, საჩეჩელი, თითისტარი.

ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, ძირითადად, ორ ჯგუფად იყოფა. ვერტიკალური და ჰორიზონტალური. პირველ ჯგუფს, ანუ ვერტიკალურს მიეკუთვნება – საქსოვი ყდა, რომელიც ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. თავის მხრივ, ყდა სხვადასხვა სახისა და ზომისა იყო: შალის, ხალიჩა–ფარდაგის, ჭილობის, ხონჯრის საქსოვი და სხვა. საქსოვი ყდა წარმოადგენს ხის ჩარჩოს, რომლის ხის გვერდებს ყდები ეწოდება. მასში ჩამაგრებულია სხვადასხვა ზომის ხის დეტალები და მოწყობილობები.

ხალიჩა–ფარდაგს ყდებზეც ქსოვდნენ და ცალკეც იყო ამავე ტიპის სპეციალური დაზგა, ყდაზე უფრო ფართე და ორ ფეხზე შემდგარი, ხოლო ყდა ჩვეულებისამებრ კედელზე იყო მიყუდებული. ჭილობის საქსოვი დაზგა შედარებით მარტივი იყო. იგი უბრალო ჩარჩოს წარმოადგენდა, რომელიც არ საჭიროებდა სხვა დანარჩენ მოწყობილობებს, როგორც ამას მოითხოვდა შალის ან ხალიჩის საქსოვი ყდა.

საქსოვი დაზგების მეორე ჯგუფს, ანუ ჰორიზონტალურს მიეკუთვნება „საფეიქროს“ სახელწოდებით ცნობილი დაზგები. საინტერესოა, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში რამოდენიმე სახის „საფეიქრო“ გვხვდება. თავისი აღნაგობით, ყველაზე უფრო პრიმიტიულია ორმოზე გამართული, ერთ „დგიმიანი“ „საფეიქრო“ დაზგა (დგიმი – საქსოვი დაზგის ნანილი).

გარკვეული ზომის ორმოს აქეთ-იქით ოთხ ბოძს ჩაარჭობდნენ – ორს ერთ მხარეს, ორს –მეორე მხარეს; მასზედ ხეებს გასდებდნენ და დაქსელავდნენ. ერთ დგიმს ამოიყვანდნენ, ქსლის ქვეშ სკამს დაიდგამდნენ და ზედ გადააჯდებოდნენ. ფეხები ორმოში ჰქონდათ ჩაკიდული და საფეხურებს ამოძრავებდნენ. ძაფს უბრალო ჩხირით ატარებდნენ ქსელში და ხის „დაშნით“ ბეჭდავდნენ.

ასეთ საფეიქრო დაზგებზე ქსოვდნენ ქართულ მერდინს (აბრეშუმის ქსოვილი), შალს (მატყლის ქსოვილი), ლაინს, ხამს (ბამბის ქსოვილები), ჯეჯიმს (ფარდაგულად ნაქსოვი ზოლიანი ქსოვილი) და სხვა. ამგვარი საფეიქრო დაზგების არსებობა დასტურდება კახეთში, ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში.

როგორც ჩანს, საქსოვი დაზგის ეს სახეობა უძველესი კულტურის მონაპოვარია და მისი გავრცელების არეალიც შორს მიდის. ორმოზე გამართული საქსოვი დაზგების გამოყენება ცნობილი იყო შუა აზიის ქვეყნებში და აფრიკის ხალხებშიც.

საფეიქრო დაზგის მეორე სახეობას მიეკუთვნება „საფეიქრო სკამი“. იგი პირველთან შედარებით უფრო დაწინაურებული ჩანს. მას ჰორიზონტალური ტიპის ორმოზე გამართულ „საფეიქრო“ დაზგისაგან განსხვავებით „სავარცხელი“ (სავარცხელი– საქსოვი დაზგის დაკბილული ნაწილი) და ორი „დგიმი“ აქვს. მასში გაბმულ ქსელში ნართს „ცხემლით“ ატარებდნენ (ცხემლა –საქსოვ დაზგაში მისაქსელის მიმწოდებელი იარაღი). ამ დაზგის მოწყობილობაში შედის სკამ-სავარძელი, რის გამოც ამ საქსოვს „საფეიქრო სკამი“ ეწოდებოდა, რომელიც გაწყობილი იყო მიწის ზემოთ, ორმოს გარეშე.

მესამე სახის საფეიქრო დაზგა, „საფეიქრო სკამთან“ შედარებით კიდევ უფრო განვითარებულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ. იგი წარმოადგენს ჰორიზონტალური ტიპის ოთხ „დგამიან“ საფეიქრო დაზგას, რომელიც გამართულია ოთხ ბოძზე. ბოძები ზევით და ქვევით შეკრულია ხიდებით. ზევითა გვერდითა ხიდებზე გადებულია განის ხიდები, რომელზეც ჩამობმულია „სავარცხელი“ და „დგიმები“. დაქსელვა კი ცალკე წარმოებდა, სპეციალურ ხელსაწყოებზე.

ყველა ზემოთ დასახელებული, ხალხურ ფეიქრობაში გამოყენებული ხელსაწყო-იარაღები ხისგან იყო დამზადებული, ადგილობრივი ხელოსნების მიერ. მართალია მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის გზით შემოდის უფრო გაუმჯობესებული სახის საქსოვი და საფეიქრო დაზგები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადგილობრივაც ხდებოდა ქართველი ოსტატ–ხელოსნების მიერ მათი მსგავსი იარაღების დამზადება.

მაგალითად, მე-19 საუკუნის ბოლოს, ჰორიზონტალური ტიპის ოთხ დგიმიანი საქსოვი დაზგა „საფეიქრო“ სოფელ საბუეში იოსებ ჯორჯაძემ ჩამოატანინა, შემდეგ ასეთივე დაზგები ადგილობრივაც იქნა დამზადებული.

ამრიგად, ხალხურ ფეიქრობაში გამოყენებული იყო მარტივი ხელსაწყო-იარაღები, რომლებიც წარმოადგენდნენ საუკუნეების მანძილზე ხანგრძლივი საწარმოო გამოცდილების შედეგად წარმოქმნილ მატერიალური კულტურის ძეგლებს.

ოთარ დავითაშვილი
ფაზისის აკადემიის კახეთის მხარის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი

მივიწყებული ქართული აბრეშუმი

ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროების მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში მეაბრეშუმეობას უძველესი დროიდან მისდევდა ქართველი კაცი. აბრეშუმი და აბრეშუმის ჭია ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალმა შემოიტანა ინდოეთიდან. საქართველოს ცალკეულ რეგიონებში მეაბრეშუმეობა საკმაოდ იყო განვითარებული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა კახეთი, სადაც ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით „სხვაზე უმეტეს აბრეშუმს აკეთებენ“.

აბრეშუმს როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სამეურნეო დანიშნულების გარდა მეაბრეშუმეობას დიდი როლი ეკავა ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. ავბედით წლებში კახეთის მეფეები ხშირად აბრეშუმით უხდიდნენ ხარკს მოძალებულ დამპყრობლებს და ამ გზით მშვიდობიანობას ინარჩუნებდნენ.

თანამედროვე მსოფლიო ბაზარს აბრეშუმით ორი აბსოლუტური დომინანტი – ჩინეთი და ინდოეთი ამარაგებს. აბრეშუმის წარმოება სტაბილურად ფართოვდება ახალ ქვეყნებში, რომლებზეც ჯერჯერობით ძალიან მცირე წილი მოდის (0,2%).

საქართველოში 1960-იან წლებში, მეაბრეშუმეობის ზენიტში, ქართული აბრეშუმის ინდუსტრია აწარმოებდა 4-5 ათას ტონა აბრეშუმის პარკს. თითქმის 120 ათასი ოჯახი დასაქმებული იყო ამ სფეროში, 5 ათასი კი ჩართული იყო გადამუშავების პროცესში.

რაც შეეხება ყვარელს, ჩვენს რაიონში ფუნქციონირებდა აბრეშუმის პარკის დამამზადებელი საწარმო ე. წ. „ყვარლის რაიაბრეშუმი“. „ყვარლის რაიაბრეშუმში“ დასაქმებული იყო 30-მდე მაღალკვალიფიციური თანამშრომელი. მათ შორის: ადმინისტრაციული პერსონალი, სხვადასხვა პროფილის აგრონომები, ტექნიკური პერსონალი და სხვა.

„ყვარლის რაიაბრეშუმს“ გააჩნდა კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. რაიონში გაშენებული იყო 80 ჰექტრამდე თუთის პლანტაცია, მოსახლეობაშიც დიდი რაოდენობით იყო თუთის ხეები. ქ. ყვარელში განთავსებული იყო ადმინისტრაციული შენობა, იმ დროისთვის კარგად აღჭურვილი შესაბამისი ლაბორატორია და აბრეშუმის დამზადების პუნქტი მიმდებარე ეზოთი. აბრეშუმის დამზადების პუნქტის შენობები მიმდებარე ეზოებით ასევე განთავსებული იყო – ახალსოფელში, გავაზსა და ენისელში.

1980-იანი წლების ბოლომდე ყოველწლიურად ყვარლის რაიონში მზადდებოდა 100-120 ტონა მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი. შემდგომ წლებში თანდათან იკლო აბრეშუმის პარკის დამზადებამ და დაახლოებით 1990-იანი წლების ბოლოს სულ შეწყდა. ფაქტობრივად ამავე პერიოდში შეწყვიტა არსებობა „ყვარლის რაიაბრეშუმმაც“, როგორც მოქმედმა ორგანიზაციამ.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმას ბევრ დადებით მხარესთან ერთად უარყოფითიც აღმოაჩნდა. მიწის პრივატიზაციის შედეგად რაიონში მთლიანად განადგურდა 80 ჰექტარი თუთის ხის პლანტაცია, მოსახლეობაშიც გადაიჭრა და ამოიძირკვა ათასობით ძირი თუთის ხე.

„ყვარლის რაიაბრეშუმის“ უძრავ-მოძრავი ქონების მესაკუთრე და განმკარგავი იყო სააქციო საზოგადოება „საქართველოს აბრეშუმი“, რომელმაც 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში კერძო პირებზე გაასხვისა „ყვარლის რაიაბრეშუმის“ ქონება.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის შემთხვევაში, ყვარლის მუნიციპალიტეტში შესაძლებელია შეიქმნას მეაბრეშუმეობისთვის საჭირო და სათანადო ბაზა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად მეაბრეშუმეობის აღორძინება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, როგორც მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისე ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას.

ოთარ დავითაშვილი
ფაზისის აკადემიის კახეთის მხარის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი

მეცნიერები და ექიმები გვაფრთხილებენ, გვირჩევენ, გვთავაზობენ!

პროსტატის დაავადებების სამკურნალო რეცეპტები „კარაბადინიდან“

გთავაზობთ პროსტატის დაავადებების სამკურნალო რეცეპტებს თამარ მამაცაშვილის წიგნიდან „კარაბადინი“.

შეგახსენებთ, რომ გამოსულია ამ წიგნის პირველი და მეორე ნაწილი, ამასთან არსებობს თითოეული ნაწილის ილუსტრირებული და არაილუსტრირებული ვერსიები. შესაბამისად განსხვავებულია ფასიც. წიგნების შეძენა შეგიძლიათ წიგნის მაღაზიათა ქსელში „ბიბლუსი“.

“კარაბადინში“ თითქმის ყველა სისტემის დაავადებათა სამკურნალო რეცეპტებს ნახავთ, რომლებიც ხალხში გამოცდილი და აღიარებულია.

ახალგაზრდობაში პროსტატიტის ნიშნები მქონდა. ვიმკურნალე, მწვავე შეტევები მომეხსნა და მიმავიწყდა კიდეც, რომ ოდესღაც რაღაც მაწუხებდა. გავიდა რამდენიმე ათეული წელი და დაავადებამ თავი ისევ შემახსენა. დამისვეს წინამდებარე ჯირკვლის ადენომის დიაგნოზი. დაიწყო ჩემი წამებაც. ზედმიწევნით ვასრულებდი ექიმის დანიშნულებას, ვსვამდი ყველა წამალს, გავიარე მასაჟის კურსიც, მაგრამ პირად ცხოვრებაზე ფიქრიც კი არ მინდოდა. დავიწყე ამ დაავადების შესახებ ლიტერატურის მოძიება, ვიწერდი ყველა რჩევასა და რეცეპტს. გოგრის თესლი და ხახვი ჩემს ყოველდღიურ საკვებად გადაიქცა, არაფერი მეშველა. დაისვა ოპერაციის საკითხი. ვიფიქრე, რას ვკარგავ, ხალხურ საშუალებებსაც ვცდი-მეთქი. გაზაფხული იდგა და ქრისტესსისხლა ყვაოდა. ჰოდა, სწორედ ამ ბალახით დავიწყე მკურნალობა.

როგორც კი ქრისტესსისხლა აყვავდება, მოაჭრით წვერს მიწიდან დაახლოებით 15 სმ-ზე, გაატარებთ და გამოწურავთ წვენს. გაფილტრავთ ორფა დოლბანდში და გააზავებთ არყით, თანაფარდობით 1:1. მთავარია, დოზას არ გადააჭარბოთ.

მკურნალობის პირველ დღეს, დილით, საუზმემდე ნახევარი საათით ადრე, 1/3 ჭიქა ნადგამ წყალში ჩაანვეთეთ ერთი წვეთი ქრისტესისხლას წვენი და დალიეთ, მეორე დღეს – ორი და ასე ადით ოცდაათ წვეთამდე. მიიღეთ დღეში ერთხელ, დილით, უზმოზე. ამის შემდეგ ყოველდღე თითო წვეთი დააკელით და ერთ წვეთამდე ჩამოდით. მკურნალობისას მნიშვნელოვანია, არ გაცივდეთ. მოკლედ, ოპერაციას გადავურჩი, დაავადებამ უკან დაიხია.

ექიმის კომენტარი: ქრისტესსისხლას შემადგენლობაში შედის ალკალოიდები: ბერბერინი, პროტოპინი, ხელიდონინი, ჰემოჰელიდონინი, კოპტიზინი, სტილოპინი, ჰელერიტრინი, სანგვინარინი, საპონინები, ფლავონოიდები, ასკორბინის მჟავა, A ვიტამინი, ორგანული მჟავები: ვაშლის, ლიმონის, ქარვის და სხვ.

ხალხურ მედიცინაში ქრისტესსისხლას რძე-წვენს ხმარობენ მეჭეჭების, პიგმენტური ლაქების, კოჟრების მოსაშორებლად. წყლულების, ჭრილობების, სირსველის, დანაყარის და კანის სხვა დაავადებების სამკურნალოდ ნახარშებსა და ნაყენებს იყენებენ, ღვიძლის, ნაღვლის სადინარების დაავადების დროს როგორც ტკივილგამაყუჩებელ და ნაღველმდენ საშუალებას. მცენარის ნაყენს იყენებენ ბრონქული ასთმის, გასტრიტების, ფილტვების ტუბერკულოზის, ყივანახველის, ალერგიის, კუჭისა და ნაწლავების პოლიპების, კუჭის კიბოს, წყლულოვანი კოლიტის, სახსრების დაავადებების დროს, აგრეთვე, კოლპიტების და პროსტატის დაავადებების დროს.

ქრისტესსისხლას ნახარშს იყენებენ ცხვირსა და ყელში გამოსავლებად პოლიპების დროს.

ქრისტესსისხლა შხამიანი მცენარეა და მისი ნაყენის არასწორმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ინტოქსიკაცია, ადამიანის მოწამვლა (თავბრუსხვევა, გულისრევა, პირღებინება, ფაღარათი). ამიტომ, მისი გამოყენების დროს, საჭიროა დიდი სიფრთხილე და იგი მხოლოდ ექიმის რჩევითა და მეთვალყურეობით უნდა გამოიყენოთ.

ჩემს მეუღლეს პროსტატის ანთების გამო აწუხებდა ტკივილი და უჭირდა შარდვაც. უროლოგის დანიშნული წამლებიც დალია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი თავიდან დაიწყო.

გადავწყვიტე ხალხური მედიცინისთვის მიმემართა და დახმარება ვთხოვე სამკურნალო მცენარეების მცოდნე მეზობელს, რომელმაც ასეთი რეცეპტი მასწავლა:

100 გ ხახვი წვრილად დაჭერით, დაუმატეთ 100 გ თაფლი და 0,5 ლ თეთრი მაგარი ღვინო. დადგით 10 დღე ბნელ ადგილას, პერიოდულად შეანჯღრიეთ, 10 დღის შემდეგ კი დალიეთ თითო ს/კ 3-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსი 20 დღეა. შემდეგ კი, თუ დაავადება კვლავ იჩენს თავს, შეგიძლიათ კურსი გაიმეოროთ.

შედეგი გაგაოცებთ.

ექიმის კომენტარი: რეცეპტის სამივე კომპონენტი ძლიერი ანტიბაქტერიული და ანტიანთებითი ეფექტით ხასიათდება. გარდა ამისა, სამივე ასტიმულირებს ორგანიზმის იმუნურ თვისებებს, არეგულირებს სისხლძარღვთა განვლადობას. ხახვი და მისი პრეპარატები ასტიმულირებს სპერმის გამომუშავებას და აუმჯობესებს სქესობრივ პოტენციას, თაფლი კი მრავალმხრივი სამკურნალო თვისებითა და ზოგადგამაჯანსაღებელი ეფექტით ხასიათდება. ღვინისა და თაფლის ანტიოქსიდანტური თვისებები ხელს უწყობს ანთებით დაზიანებული ქსოვილების აღდგენას.

ვარ 75 წლის მამაკაცი. 15 წლის წინ მაწუხებდა შარდის შეკავება. ერთხელ მეუღლემ მომიტანა სამკურნალო მცენარეთა წიგნი. წავიკითხე. ჩემი ყურადღება მიიქცია ზაფრანის სამკურნალო თვისებებმა.

ერთ დღეს მეზობელთან შევიკრიბეთ მოსალხენად. თავს კარგად ვერ ვგრძნობდი, ამიტომ ღვინის დალევაზეც უარი ვთქვი და კაკლის უღელზე დაყენებულ არაყზეც. მიზეზი მკითხეს. ვუთხარი, რაც მაწუხებდა. მირჩიეს, ეს არაყი დალიე და აღარაფერი შეგაწუხებსო. მართლაც, დავლიე ორი თუ სამი პატარა ჭიქა და იმ ღამით აღარაფერს შეგვწუხებიგარ. რამდენიმე თვეში კვლავ შემიკავდა შარდი. დავლიე 3 ჭიქა არაყი და ისევ უკეთ ვიგრძენი თავი.

ამ ამბების შემდეგ აზრად მომივიდა, თავად დამემზადებინა ასეთი წამალი: ავიღე 5 ცალი ზაფრანის დინგი, 5 ცალი კაკლის უღელი, ჩავყარე 200-გრამიან ჭიქაში, დავასხი ადუღებული წყალი და ვსვამდი უზმოზე სუფრის კოვზით 3-ჯერ დღეში. იმის შემდეგ 6 წელი გავიდა. მუდამ ვსვამ ამ ნაყენს. თავს კარგად ვგრძნობ, გულზეც მომიხდა, შარდვა გამიადვილდა, ნაღველზეც დიდებულად იმოქმედა, ნერვებიც დამიწყნარდა და ძალიან მშვიდად მძინავს, თავს იმედიანად ვგრძნობ.

ექიმის კომენტარი: ზაფრანა მრავალწლიანი ბოლქვტუბერიანი მცენარეა. ბოლქვტუბერი მდიდარია სახამებლით და გარედან დაფარულია ქერცლით. აქვს ხაზოვანი, წვრილი ფოთლები და ნარინჯისფერი ყვავილები. აქვს სამი მტვრიანა, სამბუდიანი ნასკვი და სვეტი, რომლის დინგი სამადაა გაყოფილი და ნარინჯისფერია. ამ მცენარის დინგები იხმარება მედიცინაში და კვების მრეწველობაში.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში ზაფრანა სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ გამოიყენებოდა. იხმარებოდა ზაფრანის ზეთი, წყალი, თესლი. ეს მცენარე გვხვდება კუჭ-ნაწლავის დაავადებათა და თირკმლის კენჭების სამკურნალო რეცეპტებში, აგრეთვე ჭორფლის მოსაცილებელი მალამოების შემადგენლობაში. თანამედროვე ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ ზაფრანის ყვავილის დინგებს, რომელიც შედის ბევრი რთული წამლის შემადგენლობაში. ზაფრანის ყვავილის დინგი შეიცავს ეთერზეთებს, შაქარს, აზოტურ ნივთიერებებს და დიდი რაოდენობით ყვითელ საღებავ ნივთიერებას. აგრეთვე კროტინოიდებს, ფლავონოიდებს, B ჯგუფის ვიტამინებს, კალიუმს და კალციუმს.

ზაფრანის ნაყენს აქვს დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, კრუნჩხვის საწინააღმდეგო, სპაზმების მომხსნელი, შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური მოქმედება და გამოიყენება სტენოკარდიის, გულის ფუნქციური დაავადებების, სისხლის პათოლოგიების (ლეიკემიების და სხვ.) სამკურნალოდ. კარგი შარდმდენი ეფექტის გამო ზაფრანას იყენებენ შარდკენჭოვანი დაავადების, ცისტიტის, ურეთრიტის სამკურნალოდ, მცენარე დადებით ეფექტს იძლევა აგრეთვე ეპილეფსიის პროფილაქტიკისთვის.

მცენარის დინგის ნაყენი ასტიმულირებს სქესობრივ ფუნქციას და ამშვიდებს ნერვულ სისტემას. მცენარის ნაყენის მიღება აადვილებს მშობიარობას და ხსნის მენსტრუალურ ტკივილს.

რაც შეეხება კაკლის უღელს, მის სპირტიან და წყლიან ნაყენსაც აქვს ძლიერი ანტიანთებითი, ანტისეპტიკური და შარდმდენი მოქმედება. ამიტომ საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა შარდ-სასქესო ორგანოთა პათოლოგიებისა და შეგუბებითი დაავადების დროს.

Mkurnali.ge

როგორ დავიცვათ თავი პატარა „ვამპირებისაგან“?

ლურჯი ცა, ზღვაზე, ან მთაში გატარებული სასიამოვნო დღეები... – ეს ის შეგრძნებებია, რომლებსაც ჩვენში ზაფხული იწვევს. თუმცა არსებობს ერთი საშიშროება – კოღოები, რომლებმაც შეიძლება მთელი ზაფხული ჩაგვიმწაროს. როგორ უნდა დავიცვათ თავი ამ პატარა, აბეზარი არსებებისაგან? – ამ კითხვით არასამთავრობო ორგანიზაცია“ჯანმრთელი სამყაროს“ ხელმძღვანელს, ზურაბ ფუტკარაძეს მივმართეთ, რომელმაც რამდენიმე სასარგებლო რჩევა მოგვცა:

– ზაფხულის პერიოდში ყოველთვის მრავლდებიან მწერები და მათ შორის კოღოებიც. ჩვენს ქვეყანაში კოღოები თითქმის ყველგან ბინადრობენ – როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. საბედნიეროდ, დღეს კოღოს ნაკბენი ისე საშიში აღარ არის, როგორც რამდენიმე ათეული წლის წინ იყო. მოგეხსენებათ, ადრე საქართველო მალარიის კერად იყო მიჩნეული, აქ ბინადრობდა კოღოს ძალზე საშიში სახეობა“ანოფელესი“, რომელიც მალარიის გადამტანია.“ანოფელესი“ ბუდობდა როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოშიც. ამ კოღოს გამო მალარიით ათასობით ადამიანი ავადდებოდა, დღეს კი ჩვენთან მალარიის შემთხვევები არ აღინიშნება, თუ არ ჩავთვლით იმ ადამიანებს, რომლებიც სხვა ქვეყნებში იყვნენ და დაავადება იქიდან გამოიყოლეს. ამის მიუხედავად, კოღოებისაგან თავის დაცვა მაინც საჭიროა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს პატარა მწერები ძალიან დიდ დისკომფორტს უქმნიან ყველას, რადგან კოღოს ნაკბენი იწვევს ქავილს, სიწითლეს, გაღიზიანებას და ზოგჯერ – ალერგიულ რეაქციასაც. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შემაწუხებელია ნებისმიერი ადამიანისათვის – დიდი იქნება ის, თუ პატარა. თუმცა კოღოები ყველაზე მეტად მაინც ბავშვებს აზიანებენ, რადგან ბავშვის კანი შედარებით ნაზი და დაუცველია.

– როგორ დავიცვათ თავი ამ უსიამოვნო არსებებისაგან?

– კოღოებთან ბრძოლის ბევრი მეთოდი არსებობს, მაგრამ, მათ შორის ყველაზე აპრობირებული და საიმედო მექანიკური საშუალებებია: ფანჯრებზე უნდა გავაკრათ ბადეები, ან ისეთი ქსოვილი, რომლის წყალობითაც სახლში კოღოები ვეღარ შემოფრინდებიან. არსებობს სპეციალური ქიმიური პრეპარატებიც, რომლის სუნსაც კოღოები ერიდებიან, სადაც ამ სუნს იგრძნობენ, იქ აღარ ჩერდებიან. გარდა ამისა, აფთიაქში იყიდება სპეციალური მალამოები, რომლებსაც სპეციფიკური სუნი აქვს. თუ ამ მალამოებს წაისვამთ, კოღო ახლოს აღარ მოგეკარებათ. ბაზრობებსა და აფთიაქებში იყიდება სპეციალური სითხეები და ტაბლეტები, რომლებიც ისეთ არომატს გამოყოფს, რომელიც კოღოებს აფრთხობს. თუ ნესტიან ადგილას ცხოვრობთ და ირგვლივ ძალიან ბევრი კოღოა, რომელსაც ამ მარტივი, საყოველთაოდ გავრცელებული მეთოდებით ველარ ერევით, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში არსებობს სპეციალური სამსახური, რომელსაც შეიძლება დაუკავშირდეთ, მოვლენ და თქვენს საცხოვრებელ ადგილს სპეციალური ნივთიერებებით დაამუშავებენ.

– საშიშია თუ არა კოღოს ნაკბენი ადამიანის ჯანმრთელობისათვის?

– როგორც გითხარით, საქართველოში არ არის ისეთი მომწამვლელი და შხამიანი კოღოები, როგორიც ზოგიერთ ქვეყანაშია. გაცილებით საშიშია ზოგიერთი სახეობის ბზიკის, ან ფუტკრის ნაკბენი, ჩვენში გავრცელებული კოღოს ნაკბენი კი არ იწვევს ინტოქსიკაციას და მისი მკურნალობაც საჭირო არ არის, თუ ძალიან არ გაღიზიანდა. საბედნიეროდ, კოღოს ის ჯიშები, რომლებიც საქართველოშია გავრცელებული, არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ძალიან მოქმედებს ნერვულ სისტემაზე: შეიძლება კოღოებმა ადამიანს ღამით დაძინების საშუალება არ მისცენ, რაც სასიამოვნო ნამდვილად არ არის. ნერვულ სისტემაზე მოქმედებს ქავილიც, თანაც, კოღოს ნაკბენი შეიძლება გაღიზიანდეს, განსაკუთრებით – ბავშვებში.

P. S. ახლა კი შემოგთავაზებთ რამდენიმე რჩევას, რომლის დახმარებითაც შეძლებთ მინიმალური დანახარჯებით შეებრძოლოთ კოღოებს: პირველ რიგში უნდა ეცადოთ, რომ ისინი სახლში არ შემოუშვათ, მაგრამ თუ მაინც შემოაღწიეს და დაგკბინეს, ეცადეთ ქავილისაგან თავი შეიკავოთ, რადგან გაღიზიანებული ნაკბენი შეიძლება ინფექციის წყარო გახდეს. არსებობს რამდენიმე, უმარტივესი ხალხური მეთოდი, რომლის დახმარებითაც ამ უსიამოვნებას თავს დააღწევთ:

ხუთი გრამი მიხაკი და ერთი ჭიქა წყალი ადუღეთ ხუთი წუთის განმავლობაში. მიღებული სითხის ათი წვეთი ნებისმიერ ოდეკოლონთან შეაზავეთ, საკმარისია ერთი სუფრის კოვზი ოდეკოლონიც. მიღებული სითხე წაისვით კანზე და 2-3 საათის განმავლობაში კოღოები თქვენთან მოახლოებასაც ვერ გაბედავენ.

კარგია, თუ აბზინდის ნახარშს წაისვამთ: აბზინდის ფესვებს ნახევარი ლიტრი წყალი დაასხით და როცა ეს ნაზავი განელდება, გამოიყენეთ.

თუ აგარაკზე ხართ, ეზოში დაანთეთ ცეცხლი და შიგ ნაძვისა და ფიჭვის გირჩები ჩაყარეთ. კოღოებს ეს სუნი საშინლად არ მოსწონთ.

ნაკბენ ადგილას უნდა დაიდოთ რამე ცივი – ყინულის ნაჭერი, ან სხვა რამ – ეს ხსნის ქავილს და აქრობს შეშუპებას.

კარგია, თუ წაისვამთ ბრილიანტის მწვანეს, მაგრამ თუ ამანაც არ გიშველათ და კოღოს ნაკბენი ძალიან გაღიზიანდა, უმჯობესია ექიმს მიმართოთ.

ხათუნა ჩიგოგიძე
https://kvirispalitra. ge/

აქტივირებული ნახშირის ჯადოსნური თვისებები, რომელიც მინიმუმ 10 პრობლემას მოგიხსნით

ბევრმა არ იცის, რომ აქტივირებული ნახშირი, რომელიც აფთიაქების ნებისმიერ ქსელშია, უმარავი შესანიშნავი თვისებების მქონეა.

ჩამონათვალი, რომელიც მის უნიკალურობაზე მოწმობს, არც ისე მცირეა.

აი ისიც,

აქტივირებული ნახშირის სარგებლიანობა:

1. თეთრი ღიმილი

ჰოლივუდის კაშკაშა ღიმილის მისაღებად ხშირად საჭირო არ არის ძვირადღირებული პროცედურები. საკმარისია, დაფქვათ 2-3 ტაბლეტი აქტივირებული ნახშირი, დაიტანოთ ჯაგრისზე და კარგად გაიხეხოთ კბილები და შედეგს პირველივე წუთიდან იხილავთ.

თუმცა, კბილების გათეთრების შემდეგ არ უნდა დაგავიწყდეთ მათი გაწმენდა ჩვეულებრივი კბილი პასტით.

ეს პროცედურა უნდა გაიმეოროთ კვირაში ორჯერ.

ნახშირი არამარტო კბილის ნადებს შთანთქავს, არამედ ამაგრებს მინანქარსაც.

2. რგილი და სუფთა კანი

გსურთ სუფთა და ლამაზი კანი? ეს იაფი საშუალება ფორებიდან მაგნიტივით იწოვს, კანი ხდება სუფთა და რბილი.

ჩირქოვანი გამონაყარის დროს, ერთი დაფქული ტაბლეტი ორ სუფრის კოვზ ალოეს გელს შეურიეთ. მსუბუქი მასაჟური მოძრაობით წაისვით სუფთა კანზე. დააყოვნეთ 10 წუთი და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

ნახშირის ნიღბების ხშირი გამოყენება დაგეხმარებათ ჯანმრთელი და ნაზი კანის შენარჩუნებაში.

3. ბრწყინვალე თმა

შეურიეთ დაფხვნილი ნახშირი შამპუნის მცირე რაოდენობას და დაიბანეთ თავი.

თმა დიდხანს იქნება სუფთა (ჭუჭყი, ცხიმი, ტოქსინები აბინძურებს თავის კანს და ცუდად მოქმედებს თმაზეც) და აბრეშუმისებური.

4. მეტეორიზმი და შეგერილობა

აქტივირებულ ნახშირს გააჩნია აბსორბციის დიდი უნარი. მიიღეთ 500 მილიგრამი ჭამამდე ერთი საათით ადრე, დიდი რაოდენობით წყალთან ერთად.

5. კვებითი მოწამვლის მკურნალობა

ნახშირი სწრაფად ანეიტრალებს ტოქსინებს. მისი მიღება დაგეხმარებათ პირღებინების, საჭმლის მომნელებელი სისტემის, ტკივილის თავიდან აცილებაში.

6. ჯანმრთელი თირკმელები

აქტივირებულ ნახშირს შეუძლია გამოყოს შარდოვანა და დაეხმაროს თირკმელებს, რომლებიც ორგანიზმის სრულყოფილი გამწმენდი ორგანოა.

7. მაღალი ქოლესტერინი

აქტივირებულ ნახშირს შეუძლია ქოლესტერინის საერთო დონის შემცირება დაახლოებით მეოთხედით. ქოლესტერინი კი არის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამოწვევის ერთერთი მიზეზი.

8. ბახუსის პროფილაქტიკა

როგორც მოქმედი სორბენტი (შეწოვი) აქტივირებული ნახშირი ეფექტურად უმკლავდება ჭარბი ალკოჰოლის სიმპტომებს. მას ორგანიზმიდან გამოჰყავს ქიმიკატები და დამატკბობლები.

ხოლო თუ ნახშირს მიიღებთ სპირტთან ერთად, ის აქვეითებს სასმელის კონცენტრაციას.

9. უსიამოვნო სუნი პირიდან

ნახშირი საუკეთესო დეზოდორანტია პირის ღრუსთვის. ანორმალიზებს ph-ს. იცავს კბილებსა და ღრძილებს ბაქტერიებისგან.

ცოტა ფხვნილი დაამატეთ პასტაში და კბილი ისე გაიხეხეთ.

10. ნაწლავების წმენდა

აქტივირებული ნახშირის მთავარ ფუნქციას სწორედ ნაწლავების გაწმენდა წარმოადგენს. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად აუცილებელია საჭმლის მომნელებელი სისტემის ხშირი პროფილაქტიკური წმენდა.

შვიდდღიანი დეტოქსი აქტივირებული ნახშირით და თქვენ თავს მსუბუქად და კარგად იგრძნობთ.

ინსულტი და მიოკარდიუმის ინფარქტი

როგორ ამოვიცნოთ ინსულტი?ინსულტი ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევაა, რომელიც ვითარდება თრომბის მიერ არტერიის ბლოკირების გამო, რის შედეგადაც თავის ტვინის ის არეალი, რომელსაც სისხლი აღარ მიეწოდება, იწყებს კვდომას.

რაც შეეხება მიოკარდიუმის ინფარქტს, ის გამოწვეულია სისხლის ნაკადის უეცარი შეწყვეტით ერთ ან რამდენიმე არტერიაში, რაც იწვევს გულის ნაწილის კვდომას. ამ დაავადებებით უამრავი ადამიანი იღუპება, ამიტომ, სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია წინასწარ ვიცოდეთ, თუ რა სიმპტომები უძღვის ამ მდგომარეობის დადგომას, რომ დროულად მივიღოთ სათანადო ზომები და დაუყოვნებლივ გამოვიძახოთ სასწრაფო დახმარება.

ინსულტის სიმპტომები

თუ ადამიანს მოულოდნელად დაეწყო ეს სიმპტომები:

1. არ შეუძლია ხელის ან ფეხის აწევა
2. არ შეუძლია გაღიმება
3. ცუდად ლაპარაკობს, ენა ებმის ან პირის კუთხე ჩამოვარდნილი, დაშვებული აქვს
4. არ ესმის რას ეუბნებიან
5. კარგავს კოორდინაციასდა წონასწორობას

აუცილებელია!დაუყოვნებლივ გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება!დააწვინეთ ადამიანი ზურგზე, თავი გვერდით გადმოუტრიალეთ!არ მისცეთ რაიმე წამალი!არ მისცეთ სითხე დასალევად!

მიოკარდიუმის ინფარქტის სიმპტომები

– ძლიერი კომპრესიული ტკივილი მკერდის უკან, რომელიც მარცხენამკლავს და მხარს გადაეცემა, ტკივილი ვრცელდება მარცხენა მხარეს, ქვედა ყბაშიც; – შეიძლება იყოს გულძმარვა, მუცლის ტკივილი, ღებინება; – სიმძიმის შეგრძნება, წვა, წნევა მკერდის უკან, ტკივილიმუცლის ზედა ნაწილში. ტკივილი მატულობს, ახასიათებს ტალღოვანიგანმეორება მოსვენების დროს, რასაც თან ახლავს მკვეთრისისუსტე, შიშის განცდა, გახშირებული გულისცემა, ადამიანს ცივი ოფლი ასხამს.

აუცილებელია!

დაუყოვნებლივ გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება!მიიღეთ მჯდომარე ან ნახევრად მწოლიარე პოზიცია, მოდუნდით!ჩადეთ ნიტროგლიცერინის ტაბლეტი ენის ქვეშ!მიიღეთ ასპირინის ტაბლეტი, დაღეჭეთ და დალიეთ წყალი!თუ ტკივილი გრძელდება, შეგიძლიათ გაიმეოროთ 10-20 წუთის განმავლობაში ნიტროგლიცერინის მიღება!

ონკოლოგიური პაციენტები მედიკამენტებს სამედიცინო დაწესებულებებში მიიღებენ

ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის, მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა მარტივდება. 24 ივლისიდან, ძალაში შედის დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება, რომლის მიხედვითაც ონკოლოგიური პაციენტები, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ, საინექციო და საინფუზიო პრეპარატებს, პირდაპირ სამედიცინო დაწესებულებებში მიიღებენ.

გადაწყვეტილება, პაციენტთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით იქნა მიღებული, რადგან ამ დრომდე ბენეფიციარებს, მედიკამენტების მისაღებად, ჯერ კლინიკაში ვიზიტი, რეცეპტის აღება, შემდეგ აფთიაქში მისვლა, წამლის შეძენა და პროცედურის ჩასატარებლად, ისევ სამედიცინო დაწესებულებაში დაბრუნება უწევდათ.

ცვლილება შეეხება 24 ივლისის შემდეგ გამზადებული ელექტრონული რეცეპტების საფუძველზე გასაწევ მომსახურებას.

როგორ გავიძლიეროთ იმუნიტეტი და ვებრძოლოთ სისუსტეს? – ბადებისა და დანამატების გამოყენების 5 წესი

დაქვეითებული იმუნიტეტი, დიარეა, კონცენტრაციის პრობლემები, დეპრესია, თმის ცვენა, ფრჩხილის სისუსტე, კანის სიმშრალე – ეს იმ გართულებების არასრული ჩამონათვალია,რომელთა მოგვარება ან პრევენცია თანამედროვე ვიტამინებითა და დანამატებით არის შესაძლებელი, თუმცა მნიშვნელოვანია, თითოეული მათგანი ჩვენი საჭიროების მიხედვით შევარჩიოთ.

გასათვალისწინებელია, რომ ბადების მიღებამდე საჭიროა ექიმთან კონსულტაციის გავლა და მასთან ერთად შერჩევა, რომელი მათგანი შეესაბამება ჩვენს ჩივილებს და ხომ არ არის საჭირო, დამატებითი კვლევები ჩავიტაროთ.

როგორ შევარჩიოთ ბადები სწორად და როგორ ეფექტს ახდენს ის ჩვენს ცხოვრებაზე, ამის შესახებ სტატიაში დეტალურად გიამბობთ:

1. თუ კვების რაციონში იშვიათად გვაქვს პროდუქტები, რომელიც ცხიმოვან მჟავებს შეიცავს, რეკომენდებულია, ისინი დანამატის სახით მივიღოთ.

ჯანსაღი და დაბალანსებული კვება გულისხმობს დღის განმავლობაში ორგანიზმისთვის საჭირო მაკრო და მიკრო ნუტრიენტების მიღებას. მაკრონუტრიენტები არის ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები, ხოლო მიკრონუტრიენტები ვიტამინები და მინერალები. ჯანსაღი კვება ნიშნავს იმას, რომ ჩვენი რაციონი შედგება მრავალფეროვანი სეზონური პროდუქტებით, რომელიც სავსეა ნუტრიენტებით, მაგალითად, ცხიმოვანი მჟავებით.

ცხიმოვანი მჟავები ორგანიზმისთვის შეუცვლელია. უფრო კონკრეტულად, ისინი ხელს უწყობს ტვინის ფუნქციონირებას და მნიშვნელოვანია გულისა და მენტალური ჯანმრთელობისთვის. ცხიმოვანი მჟავების, კერძოდ ომეგა 3-ის ყველაზე კარგი წყარო ცხიმიანი თევზია, მაგრამ თუ ჩვენს კვების რაციონში აღნიშნულიპროდუქტიშვიათადგვაქვს,მაშინმნიშვნელოვანია, დანამატების სახით მოვიხმაროთ ომეგა 3,6 და 9, რათა თავი დავიცვათ დეფიციტისგან.

2. თუ დახურულ სივრცეში დიდ დროს ვატარებთ,D ვიტამინის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია, ის დანამატის სახით მივიღოთ.

D ვიტამინი უმნიშვნელოვანესი ნუტრიენტია, რომლის მთავარი წყაროც მზეა. აღნიშნული ვიტამინი ჩვენს ენერგიასა და სიცოცხლისუნარიანობაზე პირდაპირ ახდენს ზეგავლენას, მისი დეფიციტი მოქმედებს ჩვენს განწყობაზეც და ხანდახან დეპრესიის გამომწვევი მიზეზიც ხდება.

D ვიტამინი დიდ როლს ასრულებს ისეთი მინერალების შეთვისებაში, როგორიცაა ფოსფორი და კალციუმი, ასევე, ხელს უწყობს ჯანსაღი და ძლიერი ძვლების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას, რაც უმნიშვნელოვანესია როგორც ბავშვებისთვის, ისე ზრდასრულებისთვის.

თუ დახურულ სივრცეში დიდ დროს ატარებთ და, განსაკუთრებით ზამთრის სეზონზე გადატვირთული ცხოვრების რეჟიმის გამო ვერ ახერხებთ დღის სინათლეზე სეირნობას, უმჯობესია, კონსულტაცია გაიაროთ ექიმთან და საჭიროების შემთხვევაში, დანამატის სახით მიიღოთ D ვიტამინი.

3. თუ ცხოველურ პროდუქტებს იშვიათად მოვიხმართ, რეკომენდებულია, დანამატის სახით მივიღოთ B ჯგუფის ვიტამინები.

B ჯგუფის ვიტამინებს აქვს მრავალი ფუნქცია, მათ შორის მეტაბოლიზმის მხარდაჭერა, რომელიც გვეხმარება, საკვები გარდავქმნათ ორგანიზმისთვის საჭირო ენერგიად.

B12 ჯგუფის ვიტამინები ძირითადად, ცხოველურ პროდუქტებშია წარმოდგენილი, ამიტომ მისი დანამატის სახით მიღება განსაკუთრებით რეკომენდებულია ვეგეტარიანელებისა და ვეგანებისთვის ან მათთვის, ვინც მარხვაზეა ან უმეტესად მცენარეული პროდუქტებით იკვებება.

4. ანტიბიოტიკისგან გამოწვეულ დიარეასა და სისუსტეს თავს „ავილაკით“ სულ რამდენიმე დღეში დააღწევთ

ანტიბიოტიკები, ერთი მხრივ, ორგანიზმში ანადგურებს დაავადების გამოწვევ პათოგენურ ბაქტერიებს, თუმცა მეორე მხრივ, სპობს ჩვენს ნაწლავებში არსებულ სასარგებლო ბაქტერიებსაც, რაც გართულებებს, კერძოდ ფაღარათს იწვევს.

ამ დროს სხეული კარგავს სითხეს და ვითარდება დეჰიდრატაცია, იკარგება ელექტროლიტები, მათ შორის ნატრიუმი, კალიუმი და მაგნიუმი, რის გამოც ვგრძნობთ სისუსტესა და დისკომფორტს. ასევე, სხეული კარგავს ელექტროლიტების იმ ნაწილსაც, რომელიც ჩვენს სისხლში მჟავა-ტუტოვან ბალანსს არეგულირებს.

გართულების სახით ფაღარათი ყველაზე მაღალი ალბათობით პენიცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკებს მოჰყვება. მაგალითად, ამოქსიცილინს, ცეფალოსპორინებს, როგორიც არის ცეფტრიაქსონი ან ცეფოტაქსიმი და სხვა. ასევე, აღნიშნული გართულება შეიძლება განვითარდეს ფტორქინოლონების, კლარიტრომიცინის ან კლინდამიცინის მიღების შემდეგაც.

ნაკლებ შემთხვევებში, თუმცა დიარეა შეიძლება მოხდეს ისეთი ანტიბიოტიკების მიღების შემდეგ, როგორიცაა ტრიმეთოპრიმ სულფა მეთოქსაზოლი ან აზითრომიცინი.

სანამ დიარეის სამკურნალოდ დამხმარე საშუალებების გამოყენებას დავიწყებთ, რეკომენდებულია, ექიმთან გადავამოწმოთ, რა სახის გართულებასთან გვაქვს საქმე.

თუ ფაღარათი არაკლოსტრიდიულია (რაც უმეტეს შემთხვევებში გვხვდება), პრობიოტიკების მიღებით ამ პრობლემას მარტივად გავუმკლავდებით.

პრობიოტიკი არის არის ცოცხალი ბაქტერია, რომელიც მარტივად უმკლავდება ანტიბიოტიკისგან გამოწვეულ დიარეას და გვეხმარება ნაწლავის მიკროფლორის აღდგენაში. ავილაკი, რომელიც ამ კუთხით ერთ-ერთი დამხმარე საშუალება შეიძლება იყოს, მდიდარია როგორც პრობიოტიკებით, ისეპრებიოტიკით (პრობიოტიკების ანუ ცოცხალი ბაქტერიების საკვებით). „ავილაკის“ 7-დღიანი კურსის შემდეგ აღვიდგენთ ნაწლავის მიკროფლორას და დავუბრუნდებით ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

5. თმის ცვენასთან, ფრჩხილების სისუსტესა და კანის სიმშრალესთან ბრძოლაში საკვები დანამატები წამყვან როლს შეასრულებს

საკვები დანამატები თანამედროვე ადამიანის თავის მოვლის რუტინის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. ბევრ ჩვენგანს აწუხებს სეზონური თმის ცვენა და ფრჩხილის სისუსტე, რაც შეიძლება ერთი მხრივ, ვიტამინებისა და მინერალების ნაკლებობით, ხოლო მეორე მხრივ, გელლაქის ხშირი მოხმარებით იყოს გამოწვეული. ასევე, გაზრდილია კანის პრობლემების შემთხვევებიც, როგორც სიმშრალე, ისე გამონაყარი, პიგმენტური ლაქები.

აღნიშნულ გართულებებთან ბრძოლაში დიდ როლს ასრულებს სოლგარის, დოპელჰერცის, ორთომოლისა და ფიურის დანამატები, რომელიც მდიდარია ბიოტინით, ჰიალურონის მჟავით, კერატინითა და სხვა მინერალებითა და ვიტამინებით. მათი მიღება ჩვენი პრობლემიდან გამომდინარე, ექიმის კონსულტაციის შემდეგ უნდა დავიწყოთ.

გვერდი მოამზადა
ალექსანდრე გიგილოშვილმა

მსოფლიოს ცნობილ ფიზიკოსთა მტკიცებით სიკვდილის შემდეგ ადამიანი სხვა პარალელურ სამყაროში აღდგება

ფიზიკოსები ამტკიცებენ: მარადიული სიცოცხლე შესაძლებელია. მრავალრიცხოვან ინტერნეტ საიტებზე აღმოაჩენთ, რომ მკვდრეთით აღდგომის საკითხი ძალიან აქტუალურია მეცნიერულ წრეებში. სტატიაში შემოგთავაზებთ პროფესორ რობერტ ლანცას (Robert Lanza) ჰიპოთეზას რამდენიმე პარალელური სამყაროს შესახებ, სადაც სიცოცხლე სხეულის სიკვდილით არ მთავრდება. რაზეა აქ საუბარი?

დროსა და სივრცეში

საკუთარი იდეები ლანცამ წარმოადგინა წიგნში „ბიოცენტრიზმი: სიცოცხლე და ცნობიერება – სამყაროს ჭეშმარიტი ბუნების შეცნობის გასაღები" (Biocentrism: How Life and Consciousness are the Keys to Understanding the True Nature of the Universe), რომელიც გამოვიდა რამდენიმე წლის წინ, მაგრამ დღემდე აქტუალობა არ დაუკარგავს, რამდენადაც შეიცავს იდეებს სიცოცხლის მარადიულობაზე, თუმცა სამყაროს სულ სხვა ადგილას. წიგნმა პოპულარობის პიკს 2013 წელს მიაღწია. მას შემდეგ პროფესორს უამრავი მომხრე გამოუჩნდა, მათ შორის მისი კოლეგებიც.

რობერტ ლანცა – უეიკ ფორესტის უნივერსიტეტის პროფესორი, რეგენერატიული მედიცინის სპეციალისტი და კომპანია Advanced Cell Technology –ის სამეცნიერო ხელმძღვანელი. მეცნიერი ცნობილია ღეროვანი უჯრედების კვლევებით და ასევე მან ჩაატარა რამდენიმე წარმატებული ექსპერიმენტი, რომელიც ეხებოდა გადაშენების პირას მყოფი ცხოველების კლონირებას. თუმცა, რამდენიმე წლის წინ მკვლევარი ფიზიკით, კვანტური მექანიკითა და ასტროფიზიკით დაინტერესდა. სწორედ აქედან დაიბადა ე. წ. ბიოცენტრიზმის თეორია, რომელის ავტორიც ლანცა გახლავთ.

ბიოცენტრიზმის თანახმად სიკვდილი არ არსებობს. ის ილუზიაა, რომელიც ადამიანთა ცნობიერებაში ჩნდება. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ადამიანები საკუთარ თავს სხეულთან აიგივებენ. ფიქრობენ, რომ მასთან ერთად მოკვდებიან. სინამდვილეში კი, ცნობიერება დროსა და სივრცის მიღმა არსებობს, რომელსაც უნარი აქვს იყოს ნებისმიერ ადგილას: როგორც ადამიანის სხეულში, ისე მის გარეთ. ეს ყოველივე ძალიან კარგად ჯდება კვანტური თეორიის საფუძვლებში, რომლის თანახმად რაღაც ნაწილაკი შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერ ადგილას, ხოლო რაიმე მოვლენა შეიძლება რამდენიმე ვარიანტად განვითარდეს.

ლანცას სწამს, რომ უამრავი სამყარო არსებოს. სწორედ მათში ხდება ყველა არსებული ვარიანტის რეალიზება. ერთ სამყაროში სხეული კვდება, მეორეში კი სიცოცხლეს აგრძელებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც გარდაცვლილი გვირაბს გაივლის, ჯოჯოხეთსა და სამოთხეში კი არ ხვდება, არამედ ისეთივე სამყაროში, როგორშიც ადრე ცხოვრობდა სანამ ცოცხალი იყო. და ასე უსასრულოდ გრძელდება...

– ცნობიერება – ამტკიცებს პროფესორი – ისეა როგორც ენერგია. არ ქრება და შეუძლებელია მისი განადგურება.

ზოგიერთი რადიკალი ბიოცენტრისტი მიიჩნევს, რომ მატერიალური სამყარო არ არსებობს, მხოლოდ მისი ვირტუალური სახეა, რომელის გენერირება ცნობიერების მეშვეობით ხდება. ან სამყარო კი არსებობს, მაგრამ იმ სახით წარმოგვიდგება და ისეთს ვხედავთ, როგორც ჩვენი გრძნობის ორგანოები გვაძლევს ამის საშუალებას. სხვა ორგანოები და გრძნობები რომ გვქონდეს, სულ სხვა რამეს დავინახავდით. ლანცას რაც შეეხება, მას ზომიერი შეხედულებები აქვს. მას რეალობის სჯერა. თუმცა, ის ამას პროცესად მიიჩნევს, რომელიც ცნობიერების მონაწილეობას მოითხოვს – ადამიანი ერთდროულად დამკვირვებელიცაა და შემქმნელიც.

ჩვენს პარალელურად

ლანცას იმედისმომცემ, მაგრამ საკმაოდ სადავო თეორიას უამრავი მომხრე გამოუჩნდა –არა მხოლოდ ჩვეულებრივი მოკვდავების სახით, რომელთაც მუდმივად სურთ ცხოვრება, არამედ ცნობილი მეცნიერები. ეს ის ფიზიკოსები და ასტროფიზიკოსები არიან, რომლებიც პარალელურ სამყაროებზე მსჯელობენ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიაჩნიათ რომ სამყარო უამრავია – Multiverse (მულტისამყარო) – ე. წ. მეცნიერული კონცეფცია, რომელის დამტკიცებასაც ისინი ცდილობენ და გვარწმუნებენ, რომ არ არსებობს ფიზიკის კანონი, რომელიც გამორიცხავდა სხვა სამყაროების არსებობას.

პირველად პარალელური სამყაროების შესახებ მწერალმა ჰერბერტ უელსმა საკუთარ მოთხრობაში „კარები კედელში" დაწერა 1895 წელს. 62 წლის შემდეგ კი მისი იდეა პრინსტონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ჰიუ ევერეტმა, საკუთარ სადოქტორო დისერტაციაში განავრცო. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამყარო იყოფა მის მსგავს უამრავ სამყაროდ. მეორე წამს კი ეს „ახალდაბადებულები" კვლავ იყოფიან იგივე სახით. რომელიღაცა მათგანში თქვენ არსებობთ. ერთ-ერთში ამ სტატიას კითხულობთ, მეორეში კი – მეტროთი მგზავრობთ, მესამეში – დივანზე წევხართ და ტელევიზორს უყურებთ...

– სამყაროს გამრავლებას ბიძგს ჩვენი ქმედებები აძლევს – ხსნის ევერეტი – საკმარისია გავაკეთოთ რაიმე არჩევანი, რომ თვალის დახამხამებაში ერთი სამყაროსგან ორი შეიქმნება. ბედის განსხვავებული ვარიანტებით – მაგალითად, რამდენიმე ადამიანმა გადაწყვიტა, რომ დანიშნულების ადგილას თვითმფრინავით კი არა, მატარებლით წასულიყო, შედეგად კი ისინი კატასტროფას გადაურჩნენ.

1980 წელს მულტისამყაროს წარმოქმნის თეორია კიდევ უფრო განავრცო ფიზიკოსმა ა. ლინდემ, სტენდფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა. „– კოსმოსი – ამბობს ლინდე – შედგება უამრავი ე. წ. გაბერილი ბურთისგან, რომელიც საფუძველს უყრის მსგავსი ბურთების შექმნას, ისინი კი, თავის მხრივ, ბადებენ მსგავს ბურთებს კიდევ უფრო დიდი რაოდენობით, და ასე უსასრულოდ. ისინი ვერ გრძნობენ ერთმანეთის არსებობას, თუმცა, ერთი ფიზიკური სამყაროს ნაწილებს წარმოადგენენ."

ის, რომ ჩვენ მარტონი არა ვართ ამ სამყაროში, ამას ის მონაცემებიც მოწმობს რომელიც კოსმოსური ტელესკოპით იქნა მიღებული. მათზე დაყრდნობით მეცნიერებმა შექმნეს ყველაზე ზუსტი მიკროტალღური ფონი ე. წ."რელიქტური გამოსხივება" და დაინახეს, რომ ის სავსეა შავი ხვრელებით.

ფიზიკოს-თეორეტიკოსი ლაურა მერსინი-ჰოუტონი ჩრდილო კაროლინის უნივერსიტეტიდან და მისი კოლეგები ამტკიცებენ, რომ მიკროტალღური ფონის ანომალიები იმის გამო გაჩნდა, რომ ჩვენს სამყაროზე გავლენას ახდენენ სხვა, გვერდით განლაგებული სამყაროები. ფიზიკოსები მიიჩნევენ, რომ სამყაროები ისე ჩნდება, როგორც მდუღარე წყალში ბუშტები. ისინი ერთმანეთს ეჯახებიან და კვლავ განიზიდებიან, რის შემდეგაც კვალს ტოვებენ.

ასე რომ, ადგილები, სადაც სული, ბიოცენტრიზმის თეორიის თანახმად, სიკვდილის მერე წავა, საკმაოდ ბევრია.

და საერთოდ, არსებობს თუ არა ის?

სულის მარადიულობაში ეჭვი არ ეპარება პროფესორ სტიუარტ ჰამეროფს არიზონის უნივერსიტეტის ანასთეზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის განყოფილებიდან, ის ამავდროულად იმავე უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს ცენტრს, რომელიც იკვლევს ცნობიერებას. რამდენიმე წლის წინ მან განაცხადა, რომ ადამიანის ცნობიერება არ ქრება სიკვდილის შემდეგ. ჰამეროფის აზრით, ადამიანის ტვინი სრულყოფილი კვანტური კომპიუტერია, სული ან ცნობიერება – ინფორმაციაა, რომელიც დაგროვილია კვანტურ დონეზე. მისი განადგურება ფაქტიურად შეუძლებელია. თუმცა შეიძლება რომ გადაიცეს.

ექიმი მიიჩნევს, რომ როდესაც სხეული კვდება, ცნობიერების კვანტური ინფორმაცია ჩვენსავე სამყაროს უერთდება. რაც შეეხება ბიოცენტრისტ ლანცას, თავისი კოლეგისგან განსხვავებით ამტკიცებს, რომ სული სულ სხვა სამყაროში გადაინაცვლებს.

ჰამეროფის თანამოაზრემ, ცნობილმა ბრიტანელმა ფიზიკოსმა ოქსფორდის უნივერსიტეტიდან სერ როჯერ პენროუზმა, ასევე აღმოაჩინა ჩვენი და სხვა სამყაროების შეხების კვალი. მეცნიერები ერთად ავითარებენ ცნობიერების კვანტურ თეორიას და თვლიან, რომ მათ აღმოაჩინეს ცნობიერების მატარებელი – ელემენტები, რომლებიც სიცოცხლის მანძილზე ინფორმაციას აგროვებენ, სხეულის სიკვდილის შემდეგ კი სადღაცას „გადასცემენ." ეს ნეირონების შიგნით განლაგებული მიკროტუბულებია (microtubules), რომელიც ყველაზე მეტად არის შესაფერისი კვანტური თვისებების მატარებლის ფუნქცია შეასრულოს ტვინში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხანგრძლივად შეუძლიათ შეინარჩუნონ კვანტური მდგომარეობა ანუ იმუშაონ კვანტური კომპიუტერის ელემენტებით.

სიკვდილის შემდეგ ადამიანი სხვა პარალელურ სამყაროში გვირაბის მეშვეობით გადაინაცვლებს. ლანცას ბიოცენტრიზმში არაფერია პრინციპულად ახალი. თუმცა მეცნიერული დასკვნა, რომელიც მკვლევარისა და მისი კოლეგების მიერ გაკეთდა, საოცარია. აღმოჩნდა, რომ იმქვეყნიური სამყარო სულაც არ არის გამონაგონი, ის რეალურია. მეცნიერს ისღა დარჩენია რომ ეს კონცეფცია რელიგიასთან შეათანხმოს.

რა გავლენას ახდენს ფიქრები, სიტყვები და ქცევები ადამიანის ბედსა და ცხოვრებაზე

თქვენს ქმედებებს შედეგები მოჰყვება, რომელიც ქმნის დინამიკურ პულსაციას სამყაროში. კარმა წარმოადგენს უხილავ ძალას, რომელიც გასწავლით. თქვენი დღევანდელი ცხოვრება წარსულის ანარეკლია. ასე რომ, თქვენს ბედს საკუთარი ხელით ქმნით.

რა არის კარმა?

ყოველ მოქმედებას მოსდევს რეაქცია. თქვენი ყოველი ფიქრი და ქმედება დიდ ძალას წარმოადგენს და ატარებს ენერგიას. ეს ექოს მსგავსია. ჩვენ ყველანი სხვადასხვა გზით დავდივართ ცხოვრებაში, თუმცა როგორღაც დაკავშირებულნი ვართ ერთმანეთთან. რაც არ უნდა გააკეთოთ, ის უთუოდ დაგიბრუნდებათ ერთ დღეს. თქვენი ფიქრები და გრძნობები თქვენში სამყაროს ქმნიან. რაც შეეხება სიტყვებსა და ქმედებებს, ისინი სამყაროს თქვენ ირგვლივ აყალიბებენ. თქვენ მას მუდმივად ცვლით.

კარმის კანონი

ჩიტები ჭიანჭველებს ჭამენ. როდესაც ჩიტები კვდებიან, ჭიანჭველები ჭამენ მათ.

ერთი ხისგან მილიონი ასანთის ღერი მზადდება. მხოლოდ ერთი ასანთის ღერია საჭირო, რომ მილიონობით ხე დაიწვას.

შეიძლება დღეს ძლიერი იყო, თუმცა შენი მდგომარეობა შესაძლოა შეიცვალოს.

კარმა მძლავრი რამ არის. ნურავის მიაყენებთ ტკივილს. იყავით კარგები და აკეთეთ სიკეთე.

თქვენ და მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელი თქვენს ქმედებებზე.

კარმა მიზეზისა და შედეგის კანონია, კოსმოსის ურყევი კანონი. რაც არ უნდა დაგემართოთ, კარგი თუ ცუდი, ყველაფერს იმსახურებთ. თქვენ შექმენით თქვენივე ბედნიერაბაც და უბედობაც. ერთ დღეს აუცილებლად აღმოჩნდებით იმავე მდგომარეობაში, როგორშიც სხვა ჩააყენეთ.

თქვენი მოქმედებები თქვენსავე მომავალს ქმნის. რასაც არ უნდა განიცდიდეთ ახლა, იმას ნიშნავს, რომ კარმას უნდა ეს განიცადოთ. ყოველი გრძნობა, ყოველი ფიქრი თქვენს მიერაა მომზადებული, ასე რომ, მიიღეთ გაკვეთილები წარსულიდან. თქვენ შეგიძლიათ გაექცეთ მას, თუმცა, თუ წარსულიდან ისწავლით, ეს თქვენს მომავალს შეცვლის.

უხილავი ფაქტორი

ნამდვილად გჯერათ იმის, რომ როდესაც დატოვებთ ამ ქვეყანას, იქ არაფერი დაგხვდებათ? რომ მეტად აღარ იარსებებთ? ამ შემთხვევაში არ ვსაუბრობთ რელიგიაზე. მოგმართავთ თქვენ, თქვენს სულსა და გონებას. შეგიძლიათ ამას ნებისმიერი რამ უწოდოთ, თუმცა, ნამდვილად დაგხვდებათ იქ რაღაც, როცა წახვალთ.

მოდი მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. წარმოიდგინეთ სიტუაცია – იფიქრეთ იმ ადამიანზე, რომელიც არ გიყვართ. ახლა მოიფიქრეთ როგორ გაანაწყენოთ ეს პიროვნება. შემდეგ კი წარმოიდგინეთ, რომ სისრულეში მოიყვანეთ თქვენი გეგმა. იღიმით, როცა ხედავთ ეს ადამიანი ამის გამო როგორ იტანჯება და გული სტკივა. იცოდეთ, რომ ამ ქმედებით «ცუდი კარმა» შექმენით საკუთარი თავისთვის.

თქვენ გამიზნულად მიაყენეთ ზიანი სხვას. თქვენი ზრახვები ბოროტების მომტანი იყო, და სწორედ ეს ქმნის კარმას. კარგი ქმედებები კი «კარგ კარმას» ქმნის. შეგიძლიათ თქვენი ზრახვები სხვას დაუმალოთ, მაგრამ არა საკუთარ თავსა და სამყაროს. თქვენ ერთი პატარა მექანიზმი ხართ სხვა მექანიზმებთან ერთად. როცა მოძრაობთ, ამით სხვა მექანიზმებსაც ამოძრავებთ.

ვერასოდეს იქნებით ბედნიერი სხვის ხარჯზე

თქვენ იმავე საწყისიდან მოდიხართ, როგორც დანარჩენები. ერთ დღესაც დაუბრუნდებით ამ საწყისს... ჩვენ ყველანი დავუბრუნდებით. ვერასოდეს იქნებით ბედნიერი, თუ თქვენს ირგვლივ ადამიანებს ტკივილს მიაყენებთ. ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ თქვენ ქმედებებში მარტო ხართ. ყოველთვის თან დაგყვებიან დამკვირვებლები და ყველაზე უმნიშვნელოვანესი მათ შორის – თქვენივე კარმაა.

თუ გამიზნულად არ აყენებთ სხვას ზიანსა და ტკივილს, ამ შემთხვევაში, კარმის კანონი არ მოქმედებს. მხოლოდ თქვენი ზრახვები აღვიძებს მას – კარგს ან ცუდს. ასე რომ, ვერავინ დაარღვევს კარმის კანონს.

შესაძლოა ძლიერი ან სუსტი იყოთ დღეს, მაგრამ თქვენი ბედი ნებისმიერ წუთს შეიძლება დატრიალდეს. თქვენი ცხოვრება თვალის დახამხამებააში შეიცვლება. ეს ადამიანების ცხოვრებაში ყოველ დღე ხდება.

კარმა რეალურია თუ არა?

დიახ, რეალურია. ის თქვენი კავშირია წარსულთან. კარმა სამყაროს კანონია. ის არ შეიძლება დაირღვეს. ის გასწავლით და ცოდნას სამყაროს შესახებ უფრო სრულყოფილს ხდის.

მას უნდა რომ გაიგოთ რას ნიშნავს, როცა სხვა იტანჯება. ამის გამო თქვენ შესაძლოა სხვადასხვა ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღოთ. არსებითად მნიშვნელოვანია გაიაზროთ თუ რატომ ჩაიდინეთ ესა თუ ის ქმედება და ამას რა შედეგები მოჰყვება. კარმული გამოცდილება საშუალებას გაძლევთ გამოასწოროთ თქვენს მიერ დაშვებული შეცდომები.

მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვის მდგომარეობაში აღმოჩნდებით, იწყებთ გაცნობიერებას თუ რას გრძნობენ ისინი. მსგავსი რამ თქვენს ცხოვრებაში გაგრძელდება მანამ, სანამ ბოლომდე არ გააცნობიერებთ იმას, თუ რა განიცადეს სხვებმა თქვენს გამო.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების ძალისხმევით სპორტის ყველა სახეობა აღმავლობის ფაზაშია და წარმატებებიც სახეზეა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ზემოთ ბევრი ოსტატი დავასახელე, ვისგანაც ოიამა იძენდა ცოდნას და გამოცდილებას, მაგრამ მის პიროვნებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა სამურაიმ მიამოტო მუსაშიმ, რომელმაც ორი ხმლით ბრძოლა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. ოიამაზე დიდი გავლენა ოქინია გამოჩენილი იაპონელი მწერლის ეიძი იოსაკავას წიგნმა „მუსაში“, სწორედ მისი სწავლების გავლენით შექმნა დოჯო-კუნი –ფიცი, რომლის დაცვაც აუცილებელია კარატისტის სულიერი განვითარებისათვის.

კარატე ყოველთვის პოპულარული იყო და დღესაც ასეა. ადამიანი არასოდეს იყო და არც ახლაა დაცული მოულოდნელი თავდასხმისგან. მადლობა სოსაი ოიამას, რომ დაგტვიტოვა შესანიშნავი სწავლება, რომლის სრულყოფილად შესწავლის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერ სიტუაციაში მოწინააღმდეგის თავდასხმის განეიტრალება. ზოგჯერ ბავშვები თავისით მოდიან და შემდეგ უწევთ მშობლების დაყოლიება, ზოგჯერ ვერ იყოლიებენ და თავს ანებებენ. მშობლის ნებართვა კი აუცილებელი პირობაა ვარჯიშის დასაწყებად. როდესაც მშობელს მოსწონს კარატე და შვილსაც, ეს ძალიან კარგია, ბავშვი გრძნობს მხარდაჭერას მშობლისაგან და უფრო მოტივირებულია, უფრო დისციპლინირებული, ასეთ ბავშვებს შეუძლიათ წარმატებას მიაღწიონ. ბავშვები აქ სწავლობენ თავმდაბლობას, ურთიერთპატივისცემას, მოწიწებას უფროსების მიმართ, საკუთარი ეგოიზმის და ტკივილების დაძლევას. კარატეს ათასობით მიმდევარი ჰყავს საქართველოში, მილიონობით მსოფლიოში და ყველა ერთ დიდი ოჯახს წარმოადგენს, ყველა გამოირჩევა თავმდაბლობით. დისციპლინას, ხასიათის სიძლიერეს, რასაც ჩვენთან სწავლობს ბავშვი, ახალგაზრდა თუ ნებისმიერი ასაკის ადამიანი, მას მომავალში დაეხმარება ნებისმიერი ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვაში.

– ბატონო მალხაზ, რამდენი ხანია, რაც ახალგაზრდების მომზადება დაიწყეთ კონტაქტურ კარატეში?

– 10 ივლისს გახდება ერთი წელი და შვიდი თვე, რაც კარატეს კლუბი გავხსენი ყვარლის სასპორტო სკოლაში.

– უკანასკნელ ტურნირამდე სად დაფიქსირდა თქვენი აღსაზრდელების წარმატებული გამოსვლები?

– ამ პერიოდში შესაძლებლობა გვქონდა მნიშვნელოვან ტურნირებზე მიგვეღო მონაწილეობა. გახსნიდან ექვს თვეში შვიდი სპორტსმენით წარვსდექით წყნეთში გამართულ თბილისის

ეროვნულ ჩემპიონატზე, სადაც აღმოსავლეთ საქართველოს ახალბედა სპორტსმენები მონაწილეობდნენ. იქ ჩემმა მოსწავლემ მარიამ აშკარელმა მე-2 ადგილი დაიკავა, დანარჩენმა ექვსმა სპორტსმენმა კი საპრიზო მესამე ადგილები დაიკავეს. ერთი წლის თავზე თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ახალბედა კარატისტებს შორის ოთხი სპორტსმენით წარვსდექით და ყველა სინჯის მედალი ჩამოვიტანეთ. ბარბარე დოლმაზაშვილმა და ლიკა ნაცვლიშვილმა საუკეთესო ბრძოლები ჩაატარეს და ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, სადაც ბარბარემ ორი ვაზარით დაამარცხა ლიკა და ოქრო და ვერცხლი გაინაწილეს. ასევე ვერცხლის მედალი დაიმსახურა გიორგი ზაუტაშვილმა, ვაჩე ჩიხრაძემ კი მესამე ადგილი დაიკავა. ამა წლის აპრილში წყნეთში მყავდა წაყვანილი ათი მოსწავლე „თბილისის თასზე“ აქაც აღმოსავლეთ საქართველოს ახალბედა კარატისტები მონაწილეობდნენ. ნამდვილად შთამბეჭდავი შედეგი დავდეთ. ბარბარე დოლმაზაშვილი – ოქრო, ლიკა ნაცვლიშვილი – ოქრო, გვანცა დოლმაზაშვილი – ვერცხლი, სოფო ჭიბოშვილი – ვერცხლი, სოფო კოვალენკო – ვერცხლი; ირაკლი ოსეფაშვილმა, გიორგი ზაუტაშვილმა, ლუკა მირიანაშვილმა, ვაჩე ჩიხრაძემ, ლაზარე ბეჟანიშვილმა კი საპრიზო მესამე ადგილები დაიკავეს.

– ბოლო ტურნირის შესახებ რას გვეტყვით, ვინ მონაწილეობდნენ და რა შედეგებს მიაღწიეთ?

– ყველაზე დიდი სიხარული მომანიჭა სულ ახლახანს 2024 წლის ივნისში ძიუდოს აკადემიაში გამართულმა საქართველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა ახალგაზრდებს, ჭაბუკებს, გოგონებს შორის, სადაც საქართველოს კონტაქტური კარატეს საუკეთესო სპორტსმენები მონაწილეობდნენ. სიმართლე გითხრათ ერთი ბრინჯაოს მედლით რომ დავბრუნებულიყავით, კმაყოფილი ვიქნებოდი, მაგრამ გოგონებმა სასწაული მოახდინეს. ბარბარე დოლმაზაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო ლიკა ნაცვლიშვილმა და სოფო ჭიბოშვილმა ვერცხლის მედლები. სამი მოსწავლე მყავდა წაყვანილი და სამივემ ასეთი კარგი შედეგი აჩვენა. წელიწადნახევრის განმავლობაში დაახლოებით 50-60 ბავშვი ვარჯიშობდა ჩემთან. ერთი წლის განმავლობაში ორ ჯგუფს ვავარჯიშებდი პატარების და უფროსი ასაკის, ვარჯიში ცოცხალი პროცესია – ზოგი თავს ანებებს, ზოგი რჩება, ზოგი ახალი მოდის. კარატე ისეთი სპორტია, თუ აქ შენი თავი არ იპოვე, გულმა არ გითხრა, რომ ეს სპორტი შენია, მხოლოდ იმიტომ, რომ მშობელს უნდა, დიდხანს ვერ გაჩერდება ბავშვი. მაგრამ ვინც თავის თავს იპოვის, ის მთელი ცხოვრება თავს არ დაანებებს, თუ დაანებებს, რაღაც დროის შემდეგ აუცილებლად დაუბრუნდება. ამას იაპონელები იკიგაის უწოდებენ, რაც სიხარულს განიჭებს და ვინც დარჩა ჩემთან, მე ვხედავ მათ თვალებში იკიგაის. ჩემს მოწაფეებს უხარიათ დოჯოში (სავარჯიშო დარბაზი) მოსვლა. 15-მა მოსწავლემ უკვე წარმატებით ჩააბარა გამოცდები მე-10 კიუზე ნარინჯისფერ ქამარზე. ერთ კვირაში, 13 ივნისს, ქ. თელავში კიდევ 15 მოსწავლე ჩააბარებს გამოცდებს, ზოგი მე-9 კიუზე, ზოგი მე-10 კიუზე. ეხლა ზაფხულია, ჩემი მოსწავლეების წარმატება ვფიქრობ, სტიმულს მისცემს სხვა ბავშვებს, ახალგაზრდებს და სექტემბრიდან ბავშვების რაოდენობა მოიმატებს. მადლობა მინდა გადავუხადო კონტაქტური კარატეს ფედერაციას, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს გივი ზაუტაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ილია მზექალაშვილს, ჩვენი სამსახურის ხელმძღვანელს ირაკლი მათიკაშვილს, რადგანაც მათი მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დროის ასეთ პატარა პერიოდში ამდენი წარმატებებისთვის მიგვეღწია. მადლობა მინდა გადაგიხადოთ პირადად თქვენ, თქვენს რედაქციას, რომ ყოველთვის აქვეყნებთ და აცნობთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ჩვენს წარმატებებს.

– მომავალში რას გეგმავთ?

– წინ დიდი მიზნები გვაქვს, მთავარია არ გავჩერდეთ ერთ ადგილზე და მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ, წინ წავიდეთ თუნდაც კუს ნაბიჯებით. ახლა საერთაშორისო ტურნირზე გვინდა მოვსინჯოთ ძალები, ჩემი ოცნება კი ევროპის ჩემპიონატია, მერე მსოფლიო ჩემპიონატი ტოკიოში, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. ჩვენ შრომას არ დავაკლებთ, დანარჩენი კი უფლის ნებაა.

– კიდევ რა სახეობებში გვასახელეს ყვარლელმა სპორტსმენებმა?

– წარმატებული გამოდგა ეს წელი ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტის სხვადასხვა სახეობებისთვის. უნგრეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში რობერტ დინგაშვილმა მესამე ადგილი დაიკავა, გიორგი ღონიაშვილმა კი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე პირველი ადგილი. წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა ხელბურთელებმა მიმდინარე წლის 10 მაისს, საქართველოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის ყვარლის ვაჟთა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. მაისის ბოლოს კი ჭაბუამ ხელბურთელებმა დაიკავეს მესამე ადგილი.

აღსანიშნავია ასევე ჩვენი ფრენბურთელების წარმატება უმაღლესი ლიგის საქართველოს ჩემპიონატზე, რომელიც 3 მაისს გაიმართა ბათუმში და სადაც მეოთხე ადგილი დაიკავეს. 30 აპრილს გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე კი პირველ ლიგაზე მესამე ადგილი დაიკავეს.

ფეხბურთში წარმატებებს მიაღწიეს ჩვენმა ნორჩმა დურუჯელებმა. ავსტრიაში გამართულ ტურნირზე, კლუბებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს. ასევე სასკოლო ლიგის რეგიონალურ ჩემპიონატზე მინი-ფეხბურთში, რომელიც გურჯაანში ჩატარდა, შილდის პირველმა სკოლამ მესამე ადგილი დაიკავა.

– სასკოლო ოლიმპიადები როგორ ჩატარდა?

– ყოველწლიურად მონაწილეობენ ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლები სასკოლო ოლიმპიადაში და ყოველთვის ვახერხებთ სპორტის ორ-სამ სახეობაში რეგიონალური თამაშების მოგებას და აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონატზე – სასკოლო ოლიმპიადის მესამე ეტაპზე გასვლას. წელსაც ყვარლის მეორე საჯარო სკოლის გოგონებმა მოიგეს რეგიონალური ოლიმპიადა კალათბურთში. ამავე სკოლის ვაჟთა გუნდმა კი თბილისში მოიგო მესამე ეტაპის ნახევარფინალი და ანაკლიის საგზურები მოიპოვეს ფინალში სათამაშოდ. ისეთი პატარა მუნიციპალიტეტისთვის, როგორიც ყვარელია, ნამდვილად არ არის ეს პატარა წარმატება.

– რას გვეტყოდით ჩვენი რაიონის ვეტერანი სპორტსმენების წლევანდელ მიღწევებზე?

– ასევე არ მინდა გამორჩეს ჩვენი ვეტერანი ძიუდოისტების წარმატებები. მიმდინარე წლის 4 ივნისს ბოსნიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ვანო გიგილაშვილმა III ადგილი დაიკავა, სოსო ბაღოშვილმა – II ადგილი. 12 მაისს თბილისში გამართულ ევროპის თასზე კი ვანო გიგილაშვილმა – I ადგილი, სოსო ბაღოშვილმა – II, ხვიჩა სირაძემ –II და ნუკრი კოჭლამაზაშვილმა III ადგილი დაიკავეს.

2024 წლის საქართველოს ჩემპიონატზე ვეტერანთა შორის აპრილში ნუკრი კოჭლამაზაშვილმა და გია სირაძემ პირველი ადგილები, ხოლო ვანო გიგილაშვილმა და ღვთისო სირაძემ მეორე ადგილები დაიკავეს.

– რას გვეტყოდით ქართული დედა ჭიდაობის შესახებ, როგორ ხდება ჩვენს მუნიციპალიტეტში ქართული ჭიდაობის განვითარება– პოპულარიზაცია?

– რაც შეეხება ქართულ დედა ჭიდაობას, მის პოპულარიზაციას და ხელშეწყობას, ჩვენს მუნიციპალიტეტში ყველაფერი კეთდება ამისათვის. წლის განმავლობაში ყვარლის მერია და ქართული ჭიდაობის კახეთის ფედერაცია ერთობლივად ვატარებთ სოფლის დღესასწაულებზე ღია ჩემპიონატებს ქართულ ჭიდაობაში, ჩვენი მუნიციპალიტეტის მერია სოლიდურ თანხებს გამოყოფს სოფლის დღესასწაულებზე გამარჯვებული სპორტსმენების დასაჯილდოებლად, როგორც ფულადი სახით, ასევე თასების, მედლების და სიგელების შესაძენად. ასეთი დღესასწაულები იმართება ცხრა სოფელში, ზოგჯერ 10 და 12 წონით კატეგორიაში, სადაც ბავშვები, ჭაბუკები, ახალგაზრდები და უფროსი ასაკის და ვეტერანი მოჭიდავეები იღებენ მონაწილეობას მთელი საქართველოდან.

როცა ქართულ დედა ჭიდაობაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დავივიწყოთ ბატონი ბიძინა ივანიშვილის უდიდესი წვლილი დედა ჭიდაობის განვითარების საქმეში. ფონდმა „ქართუმ“ მთელი საქართველოს მასშტაბით მოაწყო ქართული ჭიდაობის არენები. ყვარლის მუნიციპალიტეტის სამ დიდ სოფელში გვაქვს უკვე ასეთი არენები, სადაც ნებისმიერ ამინდში იმართება ჭიდაობები. ეს სოფლებია შილდა, ახალსოფელი, გავაზი. ასევე აღსანიშნავია შილდელი მეცენატების, ძმები შიუკაშვილების მიერ გაღებული წვლილი, რომელებიც ყოველწლიურად ასპონსორებენ კოხიაობის და ერეკლეობის (ეს დღესასწაული ერეკლეობა მათ დააწესეს შილდაში) დღესასწაულებს და სხვადასხვა ქართულ ჭიდაობასთან დაკავშირებულ ტურნირებს.

წელს დაგეგმილი გვაქვს 23 აგვისტოს, სოფელ ახალსოფელში ქართული ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებით და ჩვენი ჩართულობით გამოჩენილი ქართველი მოჭიდავის, ევროპის ჩემპიონის ძიუდოში, ახალსოფლელი კაცის რონინ მაღალთაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ასევე შემოდგომაზე ვუმასპინძლებთ ქართული ჭიდაობის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ რეგიონალურ ტურნირს ქართულ ჭიდაობაში. ასე, რომ ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკაა სპორტის მასიური ხელშეწყობა და განვითარება. ამ კუთხით ქართული დედა ჭიდაობა ნამდვილად პრიორიტეტულია და ჩვენი მოსახლეობის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების ძალისხმევით სპორტის ყველა სახეობა აღმავლობის ფაზაშია და წარმატებებიც სახეზეა.

დიდი მადლობა ბატონო მალხაზ, საინტერესო ინტერვიუსთვის, გისურვებთ წარმატებებს სპორტის ყველა სახეობებში.

მიწის სისტემური რეგისტრაციის საკითხებზე შეხვედრა გაიმართა

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, მიწის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მოქალაქეებთან შეხვედრა გამართა – „კონსულტაციის დღე შენს მუნიციპალიტეტში“.

მიწის სისტემურ რეგისტრაციასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მოქალაქეებს კონსულტაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა გაუწიეს.

ყვარლის მუნიციპალიტეტში მიწის სისტემური რეგისტრაცია 30 ივლისს დაიწყება და წლის ბოლოს დასრულდება.

იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში სისტემური წესით ეტაპობრივად აზომავს და კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს დაარეგისტრირებს.

ადმინისტრაციული ერთეულებში მიწის სისტემური რეგისტრაციის დაწყების თარიღის შესახებ ინფორმაციას ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას წინასწარ შევატყობინებთ.

თუმცა, მისი ცხოვრების არსი, პირველ ყოვლისა, კაცობა და ქართველობა იყო

გიორგი იმერლიშვილის ხსოვნას

ათი წელი გვაშორებს იმ ავბედით დღეს, როდესაც საქართველოს, ყვარელსა და ოჯახს გამოაკლდა კიდევ ერთი თვალისჩინივით ვაჟკაცი, ქვეყნის უსაფრთხოების სადარაჯოზე უდრტვინველად მდგარი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი გიორგი იმერლიშვილი. ვინც გიორგის (გიას) ბავშვობიდანვე იცნობდა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ის ქვეყნისთვის საჭირო და სიკეთის მომტანი კაცი დადგებოდა. არც იყო გასაკვირი, დალი და ბონდო იმერლიშვილების კერაზე აღზრდილს, სახელიანი გზა აერჩია. ყველას ალალად ახარებდა გიას წარმატებული სავალი... უზომოდ გულნატკენებმა, ეხლაც, ათი წლის შემდეგაც, შეგვიძლია გადაუჭარბებლად ვთქვათ, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ის თავისი პატიოსნებით, პროფესიონალიზმით, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, ერთგულებითა და პასუხისმგებლობით, პიროვნული სისადავით, უთუოდ იქნებოდა რომელიმე სახელმწიფო სამართალდამცავი სტრუქტურის მაღალ თანამდებობაზე. კარიერული წინსვლა გარდაცვალებამდე გარანტირებული ჰქონდა, თუმცა, მისი ცხოვრების კრედო, პირველ ყოვლისა, კაცობა და ქართველობა იყო. გულთბილობა, თავაზიანობა, უბრალოება, ღვთისნიერება, კარგი ოჯახისა და ყვარლის მადლიანი მიწის ღირსეული შვილობა იყო, ქვეყნისთვის ესოდენ საჭირო სამსახურში ჩამდგარი ახაგაზრდა კაცის სახე და ქრისტიანული ზნეობა... მდუღარე ცრემლი და ქვითინი არ დაკლებია მარადისობისკენ მიმავალ გზაზე, გამორჩეულ კახელ ვაჟკაცს და ამის მოწმეა არა მარტო მთელი ყვარელი, არამედ, ასობით სახელმწიფოს სპეცსამსახურის მუშაკი, მეგობართა წრე, თბილისიდან თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული. უბრალო მოვალეობის მოხდისათვის არ ჩამოსულა ყვარელში საქართველოს მაშინდელი ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც სამგლოვიარო წიგნში მადლიერებითა და მწუხარებით აღნიშნა გიორგი იმერლიშვილის ღირსეული მუშაკობა და ტრაგიკული გარდაცვალება. ათი წელი ზოგჯერ საკმაო დროა, ადამიანების სულიერი ტკივილის გასანელებლად, მაგრამ, ტკივილიც არის და ტკივილიც. გიას ვაჟკაცური სახელი და სახება დღეს ყველა ჩვენთაგანის თვალწინ დგას, იმ იმედითა და რწმენით, რომ ზეციური ნათელი ადგას მის ასე უდროოდ და გულსაკლავად შეწყვეტილ სახელოვან გზას. მთისა და ბარის სამართალი, არსთა გამრიგე, ზოგჯერ, საბედისწეროდ კაცთა, გარემოებებს მწუხარების საბურველით მოსავენ, ვაგლახ, რომ ამ საბურველში გაეხვია ჩვენი საყვარელი ვაჟკაცი... და ასე, ეცლებიან ხოლმე ხელიდან, ნიადაგ შინაურ და გარე მტრებთან გაუთავებელ ჭიდილში ჩაბმულ საქართველოს, სანთლით საძებარი შვილები. შენს ყოფილ თანამშრომლებს ყოველთვის ახსოვხარ და ეხსომები სიცოცხლის ბოლომდე. შენს პატიოსან სავალ გზას კი აგრძელებენ შენი შვილები – ირინე და დემეტრე, რომელთა სიყვარულიც თან გაიყოლე. ორი ქალიშვილის პაპაც გახდი, ჩვენო გია, როგორ გაიხარებდი, მაგრამ... უფლის სასუფეველი და გაუხუნარი სიყვარული არ მოგკლებოდეს, ჩვენო საამაყო ვაჟკაცო!

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი თანამშრომლები, ოჯახი

შემაჯამებელი აკადემიური კონცერტი გაიმართა

ყვარლის სამუსიკო სკოლამ მოსწავლეთა და მასწავლებელთა წლის შემაჯამებელი აკადემიური კონცერტი გამართა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა გივი ზაუტაშვილმა სამუსიკო სკოლის გაერთიანებულ გუნდსა და პედაგოგებს კონკურსებში გამარჯვება მიულოცა და წარმატებები უსურვა.

ა (ა)იპ ყვარლის სამუსიკო გაერთიანების ხელმძღვანელმა ნათია სეფაშვილმა სამუსიკო სკოლის გაერთიანებულ გუნდსა და პედაგოგებს სერტიფიკატები გადასცა VII ეროვნული კონკურსის მეორე ტურში, ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და ხელოვნების მე-16 რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსში „იპოვე შენი ვარსკვლავი“ – პირველი ადგილის დაკავებისათვის.

კონცერტს ესწრებოდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, მოწვეული სტუმრები და ადგილობრივი მსმენელი.

როგორ უნდა მოუაროთ მაცივარს, რომ სიცხეში არ გადაიწვას

ზაფხულში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა საგრძნობლად მატულობს, ხშირად ტექნიკას პრობლემა ექმნება. მაგალითად, მაცივრის ხელოსნები ამბობენ, რომ ამ პერიოდში უამრავი კლიენტი აკითხავთ – მაცივარი მწყობრიდან გამოდის როგორც სახლში, ოთახის პირობებში, ასევე მაღაზიებში, განსაკუთრებით, სანაყინე მაცივრები, რომლებიც ქუჩაშია გამოტანილი.

მაცივრის ხელოსანი პავლე გველესიანი მაცივრის მოვლასთან დაკავშირებით საჭირო რჩევებს გვაძლევს:

– სიცხეში ოთახის ტემპერატურა +32 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. როდესაც +32 გრადუსს მიუახლოვდება, ასეთ დროს, აუცილებელი რეკომენდაციაა, მაცივარი გამოირთოს, რადგანაც ოთახის პირობებში ხშირად ფუჭდება. ძრავა როგორც კი ხურდება, მწყობრიდან გამოდის. მაცივარს ოთახის ტემპერატურა თავისთავად ახურებს, რასაც ძრავის გაცხელება ემატება. გაგრილებას ვერ ასწრებს და ყველაფერი ფუჭდება.

დეტალები სიმხურვალისგან ფართოვდება, ცვეთა მატულობს, ფრეონის წნევა იზრდება და ძრავა დიდი დატვირთვით მუშაობს. მაღალი ტემპერატურა ფრეონის წნევაზე აისახება, რაზეც ჩვენი მაცივრის ძრავები არ არის გათვლილი. თუმცა, არსებობს მაცივრები, ძლიერი ძრავებით, რომლებიც სამხრეთ ქვეყნებისთვისაა გათვლილი და შეიძლება +37 გრადუსზეც გაძლონ. ისინი უფრო ძვირია და მეტი წარმადობისაა.

ჩვენი მაცივრები ჩრდილოეთის ქვეყნებისთვისაა. აქ ძვირი საქონელი არ შემოაქვთ, ამას ყურადღებას არავინ აქცევს, რადგან ეს სტანდარტები საქართველოში არ მუშაობს. არადა, ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში ზაფხულობით სერიოზული სიცხეებია, რაც გლობალურ დათბობას უკავშირდება და მგონი, საქართველო ნელ-ნელა უდაბნოს ჰავის ქვეყანა ხდება...

– კონდიციონერით გაგრილებულ ოთახში არსებული მაცივარი საფრთხისგან დაცულია?

– იქ, სადაც ოთახის გაგრილებას კონდიციონერით ახერხებენ, მაცივარი არ ფუჭდება, ამ სიცხეში ეგ თუ უშველის და დაეხმარება იმაში, რომ ჰაერის ტემპერატურა დაბლა დასწიოს.

– ე. წ. „ვინტილატორი“ ტემპერატურას ვერ დაარეგულირებს?

– შველის, მაგრამ ის მაინც იმავე ოთახის ტემპერატურას უბერავს, მაგრამ "ვინტილატორი" გარკვეულ გავლენას მაინც ახდენს – ოთახი გრილდება. სულ არაფერს ჯობია, მაგრამ უკეთესია, კონდიციონერი ჩაირთოს. ამაზე ელექტროენერგიის დაზოგვა არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდ ზარალში აღმოჩნდებიან.

– ხშირად ნაყინის მაცივრები მაღაზიებს გარეთ აქვთ გამოტანილი. ვისაც იმის საშუალება არ აქვს, მაცივარი მაღაზიაში შეიტანოს, უადგილობის გამო იძულებულია, გარეთ დატოვოს. 41 გრადუს სიცხეში როგორ უნდა მოიქცეს?

– ასეთი მაცივრებისთვის +41 გრადუსი უფრო სასურველი ტემპერატურაა, ვიდრე სახლში +32 გრადუსი, რადგანაც გარეთ ნიავი მაინც ხვდება და ცოტათი აგრილებს. ფაქტია, რომ ისინი მზის გულზე არ უნდა იდგეს, მზის სხივები არ უნდა ხვდებოდეს.

ისეთი მოწყობილობა, როგორიც კონდენსატორია, საიდანაც ფრეონის კონდენსაცია ხდება, რომ არ დაზიანდეს, ამისთვის ყველაფერი უნდა გააკეთონ. ამიტომ, გაგრილება აუცილებელია. საერთოდ, ფრეონი თავიდან 85 გრადუსზე მაღლა უნდა გაცხელდეს, მერე აუცილებლად 53 გრადუსამდე გაგრილდეს, რომ ისევ თხევადად გარდაიქმნას. თუ ამას გარე ტემპერატურის გამო ვერ ახერხებს, გამოდის, შიგნით ცხელი ჰაერის ნაკადი შედის, რის გამოც ფრეონი "დარბის", ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაცივარი კი არ აცივებს, პირიქით, თავის თავს აცხელებს. აქედან გამომდინარე, აგრეგატი უნდა გაითიშოს.

არის კიდევ ერთი მომენტი – ხალხს ჰგონია, გაუსაძლისი სიცხის დროს, მაცივრის სპეციალური ნიშნულები მაქსიმალურზე უნდა ასწიონ, მაგალითად, 5-6-7-ზე. მეტი რიცხვები არ აქვს, თორემ უფრო მეტზეც ასწევდნენ. ეს რიცხვები მაცივარს სიჩქარეს არ მატებს. პირიქით, ასეთ დროს დაბალ რიცხვებზე უნდა დავაყენოთ, რომ ძრავამ მინიმალურ ზღვარს მაინც მიაღწიოს.

მოკლედ, ციფრები ტემპერატურას არ ნიშნავს, ის მისი პოზიციაა. პირველი პოზიცია, უფრო ცივს ნიშნავს, ვიდრე მაღალი ნიშნულები. მთავარია, ერთ საათში ძრავამ ერთხელ მაინც მოახერხოს გათიშვა, რომ გაგრილდეს. შიდა დეტალები არ უნდა გადახურდეს. თუ არადა, ასეთ დროს ბევრი ცუდი რამ ხდება. თერმოსტატიც არ გაითიშება და ძრავა გაჩერდება.

– რა რეკომენდაცია შეგიძლიათ იმ მაცივრებისთვის გასცეთ, ვისაც ქუჩაში უდგათ ისინი. როგორ უნდა მოიქცნენ?

– თუ საშუალება არ აქვთ, მაღაზიაში შეიტანონ, გარეთ ჩრდილი მოუწყონ, სპეციალური ქოლგების ქვეშ მოაქციონ. ისე, მაღაზიებში როცა მჭიდროდ დგას მაცივრები, თავისი სიმხურვალით ერთი მეორეს უფრო ახშობს. ქუჩაში ასე მჭიდროდ რომ დაწყონ, ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან – როდესაც კონდენსატორი ცხელდება, ტემპერატურა მაღლა ადის და ეს შველის, შენობაში სიცხე ზევით ვერ "გარბის", ის არსებულ სივრცეს ავსებს და მაცივარი იხრჩობა.

ლალი ფაცია

https://www. ambebi. ge/

გაზეთიხელმძღვანელობსთავისუფალიპრესისპრინციპით.დამფუძნებელიაყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86